ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე
მაკედონელი
8 ლარი




სამშაბათი, 3 სექტემბერი, 2013 №208 (6209) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო გვ.3

რა შემთხვევაში დაბრუნდება პრემიერი უკან



## იაშვილის კლინიკის თანამშრომლებს თურქი ინვესტორი სექსუალური კავშირის დამყარებას სთხოვს

გვ.4



## გიორგი თარგამაძეს შსს-თან კითხვები აქვს

გვ.2





## გელა ნიკოლაიშვილი: „ხალხს ბურჯანაძე ბაქრაძეს ურჩევნია“

გვ.5




გვ.7

მამუკა გიორგაძე: „მავნე კოაბიტაცია უნდა დასრულდეს!“

მაია ფანჯიკიძე: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკონტროლო შავი ხვრელების არსებობა ყველას საფრთხეს უქმნის“



გვ.2



გვ.6

„ომის დროს ზაზა გოროზია და თენგიზ გუნავა რუს გენერლებს მძღოლებად ჰყავდათ“

ირაკლი ღარიბაშვილი: „პრემიერმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ მისი ყველა ნაბიჯი ძალიან ზუსტად იყო გათვლილი“



გვ.4



გვ.5

დავით ბაქრაძე: „ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი შეიქმნება“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს

**4** ნაციონალები თამბაქოს გაძვირებას აპროტესტებენ

**2** ვინ ავიწროვებს ბოლნისის საკრებულოს წევრებს

**5** ნაციონალური მოძრაობა ვანო მერაბიშვილის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვს

# გიორგი თარგამაძეს შსს-თან კითხვები აქვს

შორენა გონგლაძე

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერისთვის გაუგებარია, თუ პოლიტიკოსებზე თვალთვალი არ ხორციელდება, რატომ არ აუქმებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს. ამის შესახებ გიორგი თარგამაძემ გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. თარგამაძის განცხადებით, ბევრ კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ დეპარტამენტი კვლავ ფუნქციონირებს.

— მე მაქვს შეკითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, თუკი პოლიტიკოსებზე თვალთვალი არ ხორციელდება, საინტერესოა, რატომ არ უქმდება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი. არჩევნებიდან ერთი წლის თავზე, სამწუხაროა, რომ ეს დეპარტამენტი ისევ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, — აცხადებს თარგამაძე.

გიორგი თარგამაძე საპრეზიდენტო არჩევნებში „საქართველოს გზის“ ლიდერ სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობას მიესალმება.

— მისასალმებელია ყველა კანდიდატის მონაწილეობა არჩევნებში. მე ვთვლი, რომ ზურაბიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს, რადგანაც საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია ამ უფლებით უნდა სარგებლობდეს, — აცხადებს თარგამაძე.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის' ლიდერი გიორგი თარგამაძე პრემიერ-მინისტრს ღია წერილით მიმართავს. გიორგი თარგამაძის განცხადებით, უკვე რამდენიმე კვირაა, აქტიურ ფართომასშტაბიან კამპანიას აწარმოებენ ქვეყანაში საარსებო მინიმუმის ახალი წესის განსაზღვრასთან დაკავშირებით. თარგამაძის თქმით, ქრისტიან-დემოკრატები არ ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას, რადგან სამართლიანობა სოციალურ სფეროში საქართველოში ვერ აღდგება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს სოციალური სამართლიანობა არასოდეს ყოფილა.

ქრისტიან-დემოკრატების მიერ გავრცელებულ ღია წერილში ნათქვამია, რომ დაპირებები, რომელსაც „ქართული ოცნება“ იძლეოდა წინასაარჩევნოდ, დღემდე დაპირებად რჩება, შესაბამისად, არ შეცვლილა მძიმე სოციალური ფონი და, რაც მთავარია, არც უკეთესობისკენ ჩანს პერსპექტივა.

„ბატონო ბიძინა, თქვენ არაერთგზის გითქვამთ, რომ ასრულებთ სა-



ქართველოს მოსახლეობისთვის მიცემულ საარჩევნო დაპირებებს, ააყვავეთ სოფლის მეურნეობა, მოაგვარეთ ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ორ დღეში მედიასაშუალებებთან დაგეგმილ შეხვედრაზე თქვენ ამაყად განაცხადებთ, რომ პენსია ანუ ასაკობრივი შემწეობა 1 სექტემბრიდან უფრო მეტია, ვიდრე საარსებო მინიმუმი და ამით „შესრულებული“ დაპირებების სიას კიდევ ერთს დაამატებთ. ეს წერილიც ამიტომ მოგწერეთ, იქნებ აგიხსნათ (სამწუხაროდ, ამას თქვენი მინისტრები არ ან ვერ აკეთებენ), რომ საარსებო მინიმუმის არსებული მოდელი და მეთოდოლოგია 18 წლის წინ არის დადგენილი და ამ მეთოდოლოგიით დათვლილი საარსებო მინიმუმი, ივლისის მონაცემებით 144 ლარი, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილში მწარე ირონიას იწვევს. თქვენ ბიზნესსაქმიანობას მისდევდით და არც მოგეთხოვებოდათ, გცოდნოდათ სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, მაგრამ, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, უნდა გააანალიზოთ ის რეალობა და მემკვიდრეობა, რომელიც დღეს საქართველოში შეიქმნა. მოსახლეობა ელის სოციალური დაპირებების შესრულებას, მაგრამ არა ისე, როგორც ეს წინა მთავრობების ტრადიცია იყო. სოციალური პოლიტიკის გატარება კი წარმოუდგენელია რეალური საარსებო მინიმუმის ცოდნის გარეშე. საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უმთავრესი კი ის არის, რომ საარსებო მინიმუმი საფუძვლად ედება სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებას. საქართველოში საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხორციელდება ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე. ის მოიცავს სასურსათო კალათას — კვების პროდუქტების მოხმარების მინიმალურ ნორმებს მოსახლეობის ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით, რომლის გაანგარიშებაც ხდება სასურსათო კალათის ღირებულების საფუძველზე, მასთან თანაფარდობით. მთლიანობაში ეს გვაძლევს სამომხმარებლო კალათის ღირებულებით გამოხატულებას ანუ საარსებო მინიმუმს მიმდინარე საშუალო ფასების მიხედვით. 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა საარსებო მინიმუმის გაანგარიშების ახალი კონცეფცია (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ), რომელიც დღესაც მოქმედებს და ორიენტირებულია მოხმარების ფაქტობრივ მონაცემებზე და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნორმატიულ მაჩვენებელს. ამ მიდგომის შესაბამისად, შემცირდა სასურსათო კალათის კალორიულობა 2500-დან 2300 კილოკალორიამდე დღეში, მაშინ როცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმაა 2450 კკალ. ამასთან, ნორმის ფარგლებში იქნა შენარჩუნებული ზოგიერთი მიკროელემენტის (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) შემცველობა, მაგრამ დაირღვა ცხოველური და მცენარეული ცილების თანაფარდობა, ცალკეული ვიტამინების შემცველობა და სხვ. ასეთი მიდგომა ეყრდნობა მოხმარების ფაქტობრივ მონაცემებს, როდესაც სასურსათო კალათის შემადგენლობაში დაბალი კატეგორიის სურსათის მოხმარების წილი გაიზარდა მაღალი კატეგორიის სურსათის წილის შემცირების ხარჯზე. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის ღირებულება შემცირდა თითქმის 35%-ით, შესაბამისად, სიღარიბის დონე ქვეყანაში „დაეცა“ 53,4%-იდან 30%-მდე. წარმოდგენილი კონცეფცია დასაბუთებულია იმით, რომ იქმნება უფრო მოქნილი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საშუალება.

ამ კონცეფციის მიღება დიდი შეცდომა იყო, იმის მიუხედავად, რომ ახალ კონცეფციას სათანადო დასაბუთება და მოტივაცია ჰქონდა. ის მიუღებელია, ვინაიდან იგნორირებულია საარსებო მინიმუმის, როგორც სოციალური ნორმატივის არსი. იგი უნდა ყალიბდებოდეს ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობის მიხედვით ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების საფუძველზე და არა ფაქტობრივი მოხმარებისა, რომელიც ხარისხობრივად გაუარესებულია სწორედ მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო. ასევე მიუღებელია მისი, როგორც „სოციალური ორიენტირის“ როლი, ვინაიდან უმჯობესია მისაღწევ დონედ მიჩნეულ იქნეს გაცილებით დასაბუთებული სოციალური ნორმატივი. გარდა ამისა, წარმოდგენილი მეთოდოლოგიით საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათისა და სხვა ხარჯების პროცენტული თანაფარდობა 70:30-ზეა ანუ ჯერ ითვლიან სასურსათო კალათის ღირებულებას წარმოდგენილი ნორმატივებით, ხოლო შემდეგ მექანიკურად ემატება სხვა ხარჯები. ეს პროცენტი დადგინდა 1995-96 წლებში, მას შემდეგ 18 წელი გავიდა და ეს შეფარდება არ შეცვლილა. რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით მეტია მის სამომხმარებლო კალათაში სურსათზე დანახარჯის ხვედრითი წილი. ცხადია, 18 წლის წინ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა განსხვავებული იყო და საშუალო ხელფასიც დღევანდელთან შედარებით თითქმის 8-ჯერ ნაკლები, ამიტომ ამ თანაფარდობის შენარჩუნება დღეს უკვე ანომალიაა. მაგალითისთვის, დღეს საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ღირებულება (დათვლილი 2300 კკალ) არის 101,5 ლარი, რაც საარსებო მინიმუმის 70% უნდა იყოს, შესაბამისად, სხვა ხარჯები არის 43,5 ლარი და ვიღებთ 145 ლარს, — ნათქვამია მიმართვაში. ქრისტიან-დემოკრატები ასევე საუბრობენ იმ ფაქტზე, რომ საგაზაფხულო სესიაზე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებმა პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიზანი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის შემოთავაზება იყო. ახალი მეთოდოლოგიით (არანაკლებ 2500 კკალ) სასურსათო კალათის ღირებულება გაიზრდება 125 ლარამდე, ხოლო სასურსათო და არასასურსათო მდგენელის პირველ ეტაპზე სულ მცირე გათანაბრება გვაძლევს 250 ლარის ოდენობის საარსებო მინიმუმს. თარგამაძის განცხადებით, სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ გამოავლინა არაკონსტრუქციულობის ძალზე ცუდი პრეცედენტი, მათ უარი თქვეს შეთავაზებული წინადადების განხილვაზე.

— იცით, რა უნდა გადაეწყვიტა საპარლამენტო გუნდს? მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ჩვენი წინადადება, შესაბამის კომიტეტში გადაქცეულიყო თუ არა საკანონმდებლო ინიციატივად ანუ მოგვეწვია ერთად ექსპერტები და ერთად დაგვეწერა საკანონმდებლო ინიციატივა ამის შემდეგ უკვე საპარლამენტო კომიტეტი ჩვენ გარეშეც წარადგენდა ახალ კანონპროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. ამ განხილვების დროს ყველაზე ცუდი, რაც წარმოჩნდა, იყო ორი რამ: პირველი ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა კონკრეტულ სოციალურ საკითხზე არასაპარლამენტო პარტიასთან თანამშრომლობაზე იმ დროს, როცა თქვენ ე.წ. კოჰაბიტაციის პირობებში ნაციონალურ მოძრაობასთან კომუნიკაციით უკვე დაღალეთ საქართველოს მოსახლეობა;

და მეორე, მოქალაქეთა კავშირისა და ნაცმოძრაობის მმართველობის მენტალური მემკვიდრეობა — საკომიტეტო მოსმენისას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ღიად აცხადებდნენ, რომ ეს გადაანგარიშება რომ დავიწყოთ, ხომ ვეღარ შევასრულებით ჩვენს წინასაარჩევნო დაპირებებს. ბატონო ბიძინა, თქვენ ხშირად იმეორებთ ხოლმე, რომ სააკაშვილი ტყუილში აცხოვრებდა ხალხს. ნამდვილად გეთანხმებით, ტყუილი იყო სააკაშვილის მმართველობის მთავარი ნიშანი, მათ შორის იყო ტყუილი საარსებო მინიმუმის შესახებ. მოგიწოდებთ, მემკვიდრეობით ნუ განაგრძობთ ხალხის მოტყუებას, რადგანაც ჩვენი მოსახლეობა არ არის ტყუილზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ღირსი, — ნათქვამია თარგამაძის მიმართვაში.

## ვინ ავიწროვებს ბოლნისის საკრებულოს წევრებს

შორენა გონგლაძე

ბოლნისის კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ნაწილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ შეუერთდა. ამის შესახებ განცხადება „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გამყრელიძემ, მურმან ყურაშვილმა და თეიმურაზ სვანაძემ გააკეთეს.

„ჩვენ ვტოვებთ კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგებს და ვუერთდებით „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“. ვთვლით, რომ ეს არის ძალა, რომელიც განახორციელებს იმ იდეებს, რომლითაც თავის დროზე 1 ოქტომბერს მოვიდა ახალი ხელისუფლება. მე, პირადად, ჩემს მაგალითზე გეტყვით, რომ ჩემზე აქტიურად ზეწოლას ახორციელებდნენ უშიშროების თანამშრომლები და მთხოვდნენ საკრებულოს ფაქსიმილესა და ბეჭდის მიტანას, რომელიც ჩემთან არ ინახებოდა. გარდა ამისა, დღეს აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ ადამიანებზე თვალთვალი და მოსმენა არ ხდება. მე გეტყვით, რომ ჩემს ყველა სატელეფონო ზარს უსმენდნენ და ყველა ზარის შემდეგ მთხოვდნენ პასუხს ჩემს პირად საუბრებზე“, — აცხადებს გამყრელიძე.

## მაია ფანჯიკიძე: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკონტროლო შავი ხვრელების არსებობა ყველას საფრთხეს უქმნის“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, ამბასადორიალის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში უკონტროლო შავი ხვრელების არსებობა საფრთხეს როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად სამხრეთ კავკასიას უქმნის.

„საქართველოს ინტერესებშია, რომ მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიასა და მომიჯნავე რეგიონებში მშვიდობა და სტაბილურობა შენარჩუნდეს. ამ თვალსაზრისით, შეშფოთებას იწვევს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და ხაზგასასმელია ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკონტროლო შავი ხვრელების არსებობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიას და მომიჯნავე რეგიონებს“ — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ნიუსპრესი

## პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული 24 წლის გოგო დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე, 1989 წელს დაბადებული ეთერ ხ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, დილით, გურჯაანში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლის ბებიას, 1934 წელს დაბადებულ ზინა ჯადუგიშვილს ცივი იარაღით ყელში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზინა ჯადუგიშვილი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ეთერ ხ. მომხდარიდან საათნახევარში, საგარეჯოს რაიონში დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი-დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

## „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების და დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული ლევან გ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 26 აგვისტოს, თბილისში, გოძიაშვილის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალს, ლევან გ. თავს დაესხა და ბანკიდან სხვადასხვა ვალუტის ფულადი თანხა გაიტაცა.

გამოძიების ინფორმაციით, ბანკიდან გატაცებული თანხა ეროვნულ ვალუტაში 8 400 ლარს შეადგენს. სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ლევან გ. რუსთაველში, წითელი ხიდის გზატკეცილზე გადაადგილებისას დააკავეს. თბილისში, მისი დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი, ბანკიდან გატაცებული თანხაა ამოღებული. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, სსსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო

## რა შემთხვევაში დაბრუნდება პრემიერი უკან

შორენა მარსაგიშვილი

უკვე კარგა ხანია მთელი ერი, საქვეყნოდ ცნობილი მკითხავები და ექსპერტები იმის გარკვევას ცდილობენ როდის წავა პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილი. ხალხს, ექსპერტებს და მჩხიბავებს სალაპარაკოს თავად ივანიშვილი აძლევს. პოლიტიკაში მოსვლის დღიდან გაიძახის შემორბენით ვარ ამ საქმეში და მალე წავალო. ამ ტიპის განცხადებებს ის უცხოური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებშიც ხშირად აკეთებდა. ყოველი ასეთი განცხადების შემდეგ ერი პანიკაში ვარდებოდა. პრემიერი და მისი გარემოცვა კი ამ განცხადებებს ჟურნალისტების მიერ ინტერპრეტირებულად ასაღებდნენ.

ხმები პრემიერის პოსტიდან წასვლის შესახებ ბოლო ხანებში აქტიურად ვრცელდება. ის უკვე ღიად აცხადებს, რომ პოლიტიკაში ყოფნა აღარ სურს. ამბობს ამ საქმიდან სიამოვნებას ვერ ვიღებო. პოლიტიკიდან სიამოვნება როგორ უნდა მიიღოს, როცა გარშემო ასეთი უმრავლესობა ჰყავს შემოკრებილი.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, აგვისტოს შუა რიცხვებში მან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს ანგელოზები საფუძვლიანად დაუფრთხო. ამბობენ, რომ ის მეოცნებეების დიდ ნაწილს აღარ ენდობა. ხალხში აღარც მას აქვს იმხელა ნდობა რაც აქამდე ჰქონდა. ამაში ლომის წვლილი მისმა გარემოცვამ შეიტანა. ეს გარემოცვა ნაციონალებთან საეჭვოდ არის ჩახუტებული და ხალხსაც ნაციონალებთან აძალებენ კოაბიტაციას. არადა, ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდნენ. სამართლიანობის აღდგენამდე ჯერ საქმე არ მისულა.

ბოლო ხანებში პრემიერი მართლაც უცნაურად იქცევა. ურეკშია გახიზნული და აქტიურ პოლიტიკაში აღარ ერევა. ამის გამო არასაპარლამენტო უმრავლესობამ უკვე დაიხოკა ლაწვები. წუხან, რატომ არ ატარებს ივანიშვილი მთავრობის სხდომებსო. მთავრობის სხდომების ხილვა მართლაც რომ სანატრელი გაგვიხდა.

რამდენიმე დღის წინ ქდმ-ს ლიდერმა გიორგი თარგამაძემ დაზაფრა ერი. განაცხადა, საქართველოს პრემიერი აღარ ჰყავსო.

მთავრობის სხდომების მსგავსად პრემიერის ბრიფინგებიც სანატრელი გაგვიხდა. გავრცელებული ინფორმაციით ივანიშვილი საგანგებო პრესკონფერენციის გამართვას 4 სექტემბერს აპირებს. მასთან დაკავშირებით ბევრი კითხვები გაჩნდა. კითხვები გუშინდელს მერე კიდევ უფრო გამწვავდება. გუშინ პრემიერმა საგანგებო წერილით მიმართა საზოგადოებას. სადაც კვლავ გაიძახის წავალ, წავალო. ამასთან ისევ არ აკონკრეტებს როდის მიდის. წასვლის პირობად ისეთ მოთხოვნებს აყენებს, რომ წესით მინიმუმ 20 წელი მაინც უნდა დარჩეს პრემიერად.

### „ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში“

ამ მიმართვაში რამდენიმე მთავარი მესიჯია რასაც პოლიტიკოსები და ექსპერტები აქტიურად ჩაეძიებიან. ივანიშვილმა მართლა ბევრი სალაპარაკო გაგვიჩინა. თუმცა ერმა მაინც ვერ გაარკვია მიდის თუ რჩება ეს ადამიანი.

— მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება — თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას. რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირიმწყობრად მუშაობს და ქვეყანას ტაბილურად ვითარდება, — წერს თავის მიმართვაში ივანიშვილი.

ივანიშვილი ადრეც ხშირად ტრაბახობდა, რომ ზუსტ პროგნოზებს აკეთებს. ამით ახლაც მოიწონა თავი. პრემიერის განცხადებით, მან პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გააკეთა ყველაფერი, პროგნოზებიც კი.

— ჩვენი გამარჯვება ერთადერთ რამეს ეფუძნებოდა — ჩვენს ურთიერთნდობას. ეს გამოცდილება მკარნახობს, ამჯერადაც გთხოვოთ, ნდობით მოეკიდოთ ჩემს გადაწყვეტილებას და დამიდგეთ გვერდში. გარწმუნებთ, მომავლის გადმოსახედიდან ეს საქართველოს საზოგადოების განვითარებისთვის წინგადადგმული და წარმატებული ნაბიჯი იქნება. ის, რაც ჩვენ უკვე შევძელით, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის საფუძველი ნამდვილად არის. მე ზუსტად ვიცი, რისი გაკეთება მინდა და რას მოუტანს ეს საზოგადოებას. გავკადნიერდები და შეგახსენებთ — პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი. მოდით, გულწრფელი ვიყოთ: განა ბევრს სჯეროდა, რომ სააკაშვილს არჩევნების გზით, უსისხლოდ დავათმობინებდით ხელისუფლებას?! ყველას გვახსოვს სააკაშვილის წინამორბედი ხელისუფლებები — გაცილებით სუსტი სახელმწიფო აპარატით, ნაკლებად ორგანიზებული და ცენტრალიზებული სამართალდამცავი სტრუქტურებით, და შემდეგ სააკაშვილი, — ავტორიტარული მართვის სტილით, არაერთგზის გაყალბებული არჩევნებით, 7 ნოემბრით, „იმედის“ დარბევით თუ 26 მაისით... მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. მგონი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. 2011 წლის 4 ოქტომბერს პოლიტიკაში შემოსვლით პირდაპირი მნიშვნელობით თავი გავწირე და გავწირე ჩემი ოჯახიც. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება, ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ჩემს სამშობლოს ახლა შევაქცევ ზურგს, ასეთ საინტერესო დროს, როცა აღმშენებლობა იწყება, და არ გავაკეთებ მაქსიმუმს ჩემი ქვეყნისათვის?!, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

ამ წერილში ივანიშვილი სამართალზეც და კანონზეც საუბრობს. მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ გვპირდება,სამართალს აღვასრულებთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისადო. მას ასევე სურს, რომ ხელისუფლებამ ისწავლოს იყოს პირნათელი კანონთანაც, საკუთარ ხალხთანაც და პარტნიორებთანაც.

— თუ გავიხსენებთ, როგორ მოახერხა ჩვენმა საზოგადოებამ პირველი ორი მთავრობის შეცვლა, პრაქტიკულად შანსი არ რჩებოდა მშვიდობიანად გაგვესტუმრებინა სააკაშვილის ხელისუფლება. ჩვენ, ფაქტობრივად, შეუძლებელი შევძელით. უცნაურია, მაგრამ არავის დაუსვამს კითხვა, როგორ მოვახერხეთ ეს. არავის უცდია იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელთა წყალობითაც დამოუკიდებელმა საქართველომ თავის ისტორიაში პირველად შეძლო არჩევნებით, კონსტიტუციური გზით ახალი ხელისუფლების მოყვანა. ერთი ცხადია, — ჩვენ ვაჯობეთ შიშს, ტერორზე დამყარებულ უზარმაზარ სახელმწიფო მანქანას, არჩევნების შედეგების გაყალბებისთვის მომართულ მთელ საარჩევნო აპარატს. მე მინდა, ხელისუფლებამ ისწავლოს იყოს პირნათელი კანონთანაც, საკუთარ ხალხთანაც და პარტნიორებთანაც. ჩვენ ეს მოვახერხეთ ყველაზე რთულ, კოჰაბიტაციის პროცესში — შევინარჩუნეთ ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერაც და ამავდროულად გავაღრმავეთ ურთიერთობები ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთანაც. დამერწმუნეთ, ეს იოლი არ იყო. ვითარება ჩვენგან თითქმის შეუთავსებლის შეთავსებას ითხოვდა: ერთი მხრივ, იყო ჩვენი საზოგადოების უპირობო და სრულიად სამართლიანი მოთხოვნა — წინა ხელისუფლებას პასუხი ეგო 9 წლის განმავლობაში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი, მართლაც გაუგონარი დანაშაულებებისათვის; მეორე მხრივ კი — ჩვენი დასავლელი პარტნიორების გამახვილებული მზერა და არაერთგზის გამოთქმული სურვილი, თავი აგვერიდებინა წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მასობრივი დევნისათვის და სამართლის აღსრულების პროცესში არ გადაგვეხვია კანონის მოთხოვნებიდან. ანუ არ შევდგომოდით იგივე გზას, რითაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო, — როცა „ნაციონალები“ დაკავებების დროს სრულიად უგულებელყოფდნენ კანონის მოთხოვნებს. შემდეგ კი უკანონობის მსხვერპლი მთელი საზოგადოება გახდა. ვფიქრობ, ჩვენ მოვძებნეთ ოქროს შუალედი და ამით ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურისთვის უპრეცედენტო რამ შევძელით — სამართალს აღვასრულებთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და გარწმუნებთ, ამ სიკეთით საზოგადოება კიდევ დიდხანს ისარგებლებს, — ნათქვამია ივანიშვილის წერილში.

პრემიერს არ ესმის რატომ აშფოთებს ერს მისი პოლიტიკიდან წასვლა. მიაჩნია, რომ მთავრობის მეთაურად მისი დარჩენა ქვეყანას ზიანს მოუტანს. ამბობს. რომ საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც აშფოთებს მისი პოლიტიკიდან წასვლა, ბევრია ისეთი, ვისაც სწორედაც რომ არ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საერთო პროცესებზე.

— მე არაფერს ვერჩი პირადად მიხეილ სააკაშვილს ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსს. ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისათვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი, — აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე. ამიტომ მე უნდა წავიდე სწორედ ახლა. საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც აშფოთებს ჩემი პოლიტიკიდან წასვლა, ბევრია ისეთი, ვისაც სწორედაც რომ არ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საერთო პროცესებზე, — ასეთებს ურჩევნიათ იყვნენ პასიურად მშვიდად და ყველაფრისთვის პასუხი აგოს სხვამ. სწორედ ამიტომ, ჩემი დარჩენა მთავრობის მეთაურად (მე, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მაქვს საზოგადოების გადაჭარბებული ნდობა) არათუ სასარგებლო, არამედ საზიანო იქნება მომავლისთვის, რადგან კი არ დაჩქარდება, არამედ შენელდება და მინავლდება ის, რისი საჭიროებაც იგრძნო საზოგადოებამ ბოლო 22 წლის განმავლობაში მოჯადოებულ წრეზე ტრიალით, — ეს არის საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება, — ნათქვამია წერილში.

ბიძინა ივანიშვილი აღიარებს, რომ საზოგადოებამ „ქართული ოცნება“ გულისა და ემოციის კარნახით აირჩია და არა მისი პროგრამის გამო.

— საზოგადოებაში ემოციური პატრიოტიზმის დომინირების პირობებში მოქალაქეები არჩევნებში აფიქსირებენ ემოციურ პოზიციას, თუ როგორ ქვეყანაში აღარ სურთ ცხოვრება არჩევნების შემდეგ და არჩევნების შემდეგ ან ნიჰილიზმის ჭაობში ეფლობიან, ანდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლას ცდილობენ, რაც ორივე შემთხვევაში ავტორიტარიზმისა და სახელისუფლებო განუკითხაობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. იმას, რომ დღემდე საქართველოში ემოციური პატრიოტიზმი მეფობს, ადასტურებს ხელისუფლების არჩევისა თუ შეცვლის აქამდე არსებული ყველა შემთხვევა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩათვლით. გავუსწოროთ თვალი სი-



მართლეს და ვაღიაროთ, რომ თქვენ ჩვენ აგვირჩიეთ გულისა და ემოციის კარნახით და არა ჩვენი პროგრამის გამო. თქვენ უარი თქვით წინა ხელისუფლების მარწუხებზე, განუკითხაობაზე, ძალადობაზე, სიღარიბეზე და მხარი დაუჭირეთ მას, ვისაც, თქვენი აზრით, მისი დამარცხება შეეძლო. რაც შეეხება მომავალს, ყველა ჩვენ-ჩვენი ინდივიდუალური ოცნებების ახდენას ველოდით და ნაკლებად გვაინტერესებდა, სინამდვილეში რას, როგორ და ვისი მეშვეობით გააკეთებდა ახალი ხელისუფლება. „მიშა არა, ბიძინაა მაგარი!“ — ამან განაპირობა საპარლამენტო არჩევნების შედეგი. წინა სახელისუფლებო ცვლილებებისას სწორედ ასეთ ლოზუნგებს მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება, სისხლისღვრა და რევოლუცია, — ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილი აპირებს, პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადაუნაწილოს ის ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც ქვეყანა მოჯადოებულ წრეზე ტრიალს გააგრძელებს.

— დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი საჯარო ფუნქციები შეიძლება სამი მიმართულებით განისაზღვროს: 1. სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); 2. პოლიტიკური (კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი); 3. საზოგადოებრივი (აქტიური მოქალაქე). მე ვაპირებ უარი ვთქვა პირველ და მეორე (სახელისუფლებო და პოლიტიკურ) ფუნქციებზე და მთელი გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამე (საზოგადოებრივ) ფუნქციას. ამას ვაპირებ იმიტომ, რომ პირველი (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) და მეორე (მრავალპარტიული დემოკრატიის) მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე და მჯერა, რომ ჩემი გუნდის წევრები დაწყებულ საქმეს ჩემ გარეშე უფრო უკეთ გაართმევენ თავს. აი, მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, მიმართულებით კი საკეთებელი უამრავია, გამკეთებელი ცოტაა და პირადად მე გარკვეული გარემოებების გამო ბევრი შემიძლია, გავაკეთო. ამრიგად, მე სადმე „სხვაგან“ კი არ მივდივარ, არამედ „აქვე“ ვრჩები და მხოლოდ ჩემი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და როლის ოპტიმიზაციას ვაპირებ, რათა, ჯერ ერთი, დავიხარჯო იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდები ქვეყანას და მეორე — პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადავუნაწილო ის ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც ქვეყანა კვლავ ერთ კაცზე ჩამოკიდებული დარჩება და ისევ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს ტრიალს, — ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

ივანიშვილის განცხადებით, საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მესიის მოლოდინში.

— მე მოვედი ხელისუფლებაში იმიტომ, რომ დამეცვა საზოგადოება და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც იმით, რომ დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ყველაზე მეტად დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. მაგრამ საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში. საზოგადოების ხსნა მის ეფექტურობაში, მაღალი პასუხისმგებლობის უნარსა და პოლიტიკურ სიმწიფეშია. საზოგადოებამ უნდა მონახოს მექანიზმი, რომლითაც გააკონტროლებს და პარტნიორობას გაუწევს ხელისუფლებას. ჩემი პირადი მაგალითით საზოგადოებას მინდა დავანახო, რომ აუცილებელია იყო ადეკვატური გამოწვევებისა და კონკრეტული რეალობის მიმართ. ორი წლის წინ სულ სხვა გამოწვევა ჰქონდა ჩვენს ქვეყანას და მეც იქ დავდექი, სადაც ყველაზე მეტის გაკეთება შემეძლო. დღეს სულ სხვა გამოწვევის წინაშე დგას ქვეყანა და მეც ამ გამოწვევის შესაბამისად უნდა მოვიქცე, — ნათქვამია პემიერის მიმართვაში.

მისი თქმით, ყველა ერთად უნდა გამოვიდეთ ლოდინის რეჟიმიდან და აქტიურად ჩავებათ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

ივანიშვილი მიიჩნევს, რომ დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საექსპერტო წრეებსა და მედიაში მრავალი მოქალაქეა დაკავებული, რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებითა თუ საუბრებით სერიოზულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრისა და პოზიციების ფორმირებაზე, მაგრამ ხშირად იგრძნობა კვალიფიკაციის ან/და სინდისის ნაკლებობა, რაც იწვევს ფუნდამენტურ საკითხებში არათანამიმდევრულობას, ზედაპირულობას.

— დიდწილად სამოქალაქო საზოგადოება იტოვებს უფლებას აკრიტიკოს, მიუთითოს (რაც მნიშვნელოვანია), მაგრამ უარს აცხადებს პასუხისმგებლობაზე თავად ჩაერთოს, აღზარდოს და აშენოს. იმისთვის, რომ ქართული საზოგადოება შედგეს როგორც რაციონალური საზოგადოება, გააზრებულ საკითხებზე მოკამათე და არა ემოციურად ერთმანეთის მაძაგებელი ან მაკრიტიკებელი, აუცილებელია თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს ყველამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ. ყველა ერთად უნდა გამოვიდეთ ლოდინის რეჟიმიდან და აქტიურად ჩავებათ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, — ვკითხულობთ განცხადებაში.

### იქნება თუ არა ქაოსი

როგორც მოსალოდნელი იყო ივანიშვილის წერილს დიდი ჟრიამული მოჰყვა. გაცილებით დიდი ალიაქოთი ატყდებოდა ივანიშვილს უფრო გარკვევით რომ დაეწერა რაღაცეები.

ივანიშვილის განცხადებებს მოგეხსენებათ, რომ დეპუტატი ნუგზარ წიკლაური გულდასმით კითხულობს. ეს უზარმაზარი წერილიც მაინ ჩაიკითხა პირველმა და სასწრაფო წესით ორესკონფერენცია გამართა. სადაც ივანიშვილის გადაწყვეტილება დაგმო. ამასთან ერს პრემიერის მზაკვრული ჩანაფიქრიც აუწყა.

მისი დასკვნით, ივანიშვილის მიერ სამოქალაქო სექტორში გადასვლის გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ ამ უკანასკნელს საზოგადოების წინაშე შეუსრულებელ დაპირებებზე პასუხი არ აქვს.

— ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ საზოგადოებისათვის წინასარჩევნოდ მიცემული დაპირებების უდიდესი ნაწილი შეუსრულებელია: რუსეთთან ურთიერთობა ისევ დაძაბულია. მეტიც, საზღვარი საქართველოსაკენ უფრო გადმოწეულია. ეკონომიკა კოლაფსის პირასაა -— ეკონომიკური ზრდა შემცირებულია და ა.შ. იმის ნაცვლად,რომ ეს და სხვა პრობლემები მოაგვაროს, ივანიშვილი აცხადებს, რომ მთავრობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში დარჩენა არ სურს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შეუსრულებელ დაპირებებზე პასუხისმგებლობის აღება არ სურს. რაც მეტი დრო გავა, მით მეტი ადამიანი გამოვა და მოუგვარებელი პრობლემების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ საკუთარი ფინანსების მეშვეობით ყოველთვის ექნება საშუალება, გააკონტროლოს პოლიტიკური სპექტრისა და მედიის გარკვეული ნაწილი და არაფორმალური გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს დემოკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშანი არ არის. იგი არასამთავრობო სექტორში იმისათვის გადადის, რომ პოლიტიკაში არაფორმალური გავლენის ქონა და რუხ კარდინალად ყოფნა სურს. მას ისე უნდა ქვეყნის მართვა, რომ კრიტიკა არ მოისმინოს. ადრე თუ გვიან ხომ იკითხავენ ადამიანები, სად არის დაპირებული ბენზინის განახევრებული ფასი, დაფარული საბანკო დავალიანებები, რატომ შეფერხდა ეკონომიკის ზრდა და სხვა. ამაზე კი მას პასუხები არ აქვს და არც პაუხისმგებლობის ქონა სურს. თორემ არასამთავრობო სექტორის განვითარებისათვის მასში გადასვლა სულაც არ არის აუცილებელი. მისი გაძლიერება იმ პირობებშიც შეიძლება, როცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო მმართველობის ბერკეტებს ფლობ. ამისათვის პოლიტიკური ნებაა საჭირო, -— აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

წიკლაურისგან განსხვავებით ივანიშვილის გადაწყვეტილებას იწონებს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე. მისი განცხადებით, საქართველოში მესიანიზმის ეპოქა დასრულდა.

— მინდა, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრის განცხადების მიმართ მის პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# იაშვილის კლინიკის თანამშრომლებს თურქი ინვესტორი სექსუალური კავშირის დამყარებას სთხოვს

მერი ნამორაძე

იცით, როგორია თანამედროვე „მცირე თურქული ანექსია“? როგორია და თურქი შეფი საქართველოს დედაქალაქში, შენს სამსახურში კედლიდან ხატების ჩამოხსნას მოგთხოვს, ხელფასის გაზრდას სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილების წყალობით დაგპირდება და თურქული ენის შესწავლასაც შეგიკვეთს. მოკლედ, ეს ყველაფერი ჩვენ გვერდით, იაშვილის კლინიკაში ხდება.



როგორც იაშვილის კლინიკის ექიმები ამბობენ, თურქულ-გერმანული კომპანიის „უნივერსალ ჰოლდინგ გრუპის“ თურქმა წარმომადგენელმა ქართველ მედიკოსებს კედლებიდან ხატების ჩამოხსნა დაავალა, ჯვრების ტარება აუკრძალა, სექსუალური ურთიერთობის დამყარება მოსთხოვა და თურქული ენის სწავლაც „შეუკვეთა“. მოკლედ, იაშვილის კლინიკას ახალი დამპყრობელი გამოუჩნდა, რაც ექიმებმა გუშინ გააპროტესტეს.

იაშვილის სახელობის კლინიკის წინ ექიმებმა აქცია გამართეს, რომლებიც ახალი მფლობელის წარმომადგენელ თექინ ატიკის მხრიდან შეურაცხყოფის ფაქტებს აპროტესტებდნენ და კლინიკის სახელმწიფოსთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ.

იაშვილის კლინიკასთან დაკავშირებით განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გააკეთა და აღნიშნა, რომ მფლობელებმა აბსოლუტურად გაუგებრად რამდენიმე დღის წინ აღნიშნული დაწესებულება გაყიდეს.

„ინფორმაცია გვაქვს, რომ რამდენიმე დღის წინ აბსოლუტურად გაუგებრად იაშვილის არსებულმა მფლობელებმა, ისე, რომ არავის არაფერი ჰკითხეს, ეს დაწესებულება გაყიდეს. ბოლო 5 დღეა, ახალი მფლობელის მხრიდან განუწყვეტელი სკანდალები ხდება. არც ერთს არ შეუწუხებია თავი, რომ საქმის კურსში ჩავეყენებინეთ ასეთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაზე“, — განაცხადა სერგეენკომ. მინისტრმა აღნიშნა, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ახალი მფლობელი თურქია თუ სხვა რომელიმე ეროვნების წარმომადგენელი, კანონის წინაშე პასუხი ყველას თანაბრად მოეთხოვება. თურქულ-გერმანული კომპანია „უნივერსალ ჰოლდინგ გრუპი“ იაშვილის სახელობის კლინიკის 67%-ის მფლობელი გახდა. მათივე თქმით, გარკვეული წილი კვლავ დარჩა კლინიკის ყოფილ მფლობელ გია ნაცვლიშვილს.

როგორც ექიმები ამბობენ, ახალი მფლობელის წარმომადგენელი, რომელიც თურქი ეროვნებისაა, მედიკოსებს თურქული ენის შესწავლას აიძულებს. მათი განცხადებით, თექინ ატიკის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხატების ჩამოხსნის მოთხოვნის ფაქტსაც, ასევე ექიმები საუბრობენ, რომ ატიკი ახალგაზრდა ექიმებს კაბინეტში იბარებდა და სექსუალური კავშირის დამყარებას ხელფასის გაზრდის სანაცვლოდ სთავაზობდა. ექიმები საუბრობენ იმაზეც, რომ თექინ ატიკი კლინიკაში ხშირად ნასვამ მდგომარეობაში ჩნდებოდა და მათ უმიზეზოდ შერაცხყოფას აყენებდა.

ექიმებთან შესახვედრად ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე პაატა მახათაძე გამოცხადდა, რომელმაც თურქული კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან განხორციელებული ქმედებები არასწორ ქცევად შეაფასა. მისი თქმით, უწყება შეისწავლის კლინიკის ახალი მფლობელის ქმედებებს და, თუ გამოვლინდება დარღვევა, შესაბამის ზომებს მიიღებს.

რაც შეეხება პედიატრიული კლინიკის გასხვისების საკითხს, როგორც მახათაძემ თქვა, იგი ბიზნესგარიგების საფუძველზე შეიძინა თურქულმა კომპანიამ. ამიტომ უნდა მოხდეს ისე, რომ არც მფლობელის უფლებები დაირღვეს და არც ექიმების მიმართ ეთიკის ნორმების დაცვა.

ბავშვთა პედიატრიული კლინიკების ახალი მფლობელის „უნივერსალ ჰოლდინგ გრუპის“ წარმომადგენელი თექინ ატიკი ექიმების ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, ექიმები მას უპირისპირდებიან, ძველი მფლობელის ინტერესების გამო, რადგან ამ უკანასკნელს კლინიკის დაბრუნება სურს.

ატიკმა განაცხადა, რომ მისი მოსვლის დღიდან კლინიკის ყველა სართულზე უნდა გაკეთებულიყო სამლოცველოები. აქედან გამომდინარე, ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ხატებისა და ჯვრების ჩამოხსნას აიძულებს ექიმებს, უსაფუძვლოა. იგი ასევე უარყოფს, რომ ნასვამ მდგომარეობაში ახორციელებდა კლინიკაში ღამის შემოვლებს.

რაც შეეხება ექიმების შეურაცხყოფის ფაქტებს, როგორც ატიკი ამბობს, ერთხელ მას მართლაც მოუვიდა ხმამაღალი შელაპარაკება ერთ-ერთ ექიმთან. ამის მიზეზად ატიკი ერთ-ერთი პაციენტის ინტერესებს ასახელებს. მისი თქმით, აღნიშნული ექიმი სათანადოდ არ ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას.

გამოდის, რომ ქართველი მედიკოსების ფანტაზიები წასულა ძალიან შორს. ისიც საინტერესოა, 5 დღის წინ გაყიდული კლინიკის დასაბრუნებლად რატომ იბრძვის ქართველი მფლობელი. ჩვენი მედიკოსების თმენის ამბავი კარგად იცის საზოგადოებამ — ვიდრე ყელში სერიოზულად არ ამოუყვან, საპროტესტოდ ხმას არ ამოიღებენ. 5 დღეში კი ასეთი პროტესტი ჰაერიდან არ მოვიდოდა.

სხვათა შორის, მედიკოსები აქციების გაგრძელებით იმუქრებიან, თუ კლინიკა უახლოეს მომავალში სახელმწიფოს არ დაუბრუნდება.

გუშინვე გამოეხმაურა იაშვილის კლინიკის მედპერსონალის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი. ორგანიზაცია კლინიკის მფლობელ კომპანიას — „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპს“, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს მიმართავს და მათგან სათანადო რეაგირებას ითხოვს.

იაშვილის კლინიკაში შექმნილ ვითარებას გუშინვე გამოეხმაურა ორგანიზაცია ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, რომელიც მიიჩნევს, რომ კლინიკაში მომუშავე მედიკოსთა განცხადებებში იკვეთება სავარაუდო დანაშაულის ნიშნები და საჭიროა მათი დროული გამოძიება და მომხდარზე შესაბამისი რეაგირება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, „42-ე მუხლი“ ყურადღებით დააკვირდება იაშვილის სახელობის კლინიკაში მიმდინარე მოვლენებს და კლინიკის მედპერსონალის მიერ გახმაურებული ფაქტების შესწავლასა და მათზე დროულ რეაგირებას კლინიკის მფლობელ კომპანიას — „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპს“ სთხოვს, ასევე მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, შეისწავლონ და გამოიძიონ აღნიშნული ფაქტები.

# ნაციონალები თამბაქოს გაძვირებას აპროტესტებენ

მერი ნამორაძე

თამბაქოს მოყვარულთათვის ერთობ უსიამოვნოა მათთვის სასურველ ნაწარმზე ფასის ზრდა თუნდაც 5 თეთრით. ამას ვინც არ უნდა დაარქვას მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ძნელია, დაარწმუნო ჩვენი მწეველები, რომ ხელმისაწვდომობა თამბაქოს ნაწარმზე შემცირდება და სტაჟიანი მწეველები თუ არა, ახალბედები მაინც დაფიქრდებიან, ღირს თუ არა ჯიბის შეთხელება თამბაქოს გამო.

ზოგიერთ სავაჭრო ობიექტში თამბაქოზე ძველ ფასს ინარჩუნებენ, თუმცა, ეს „ბედნიერება“ მხოლოდ რამდენიმე დღეს გასტანს. სიგარეტის ფასი, ხარისხიდან გამომდინარე, 5-30 თეთრით გაიზრდება. ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ

ფილტრიანი სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთი იზრდება მხოლოდ 0.60-დან 0.75 ლარამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტისთვის – 0.15-დან 0.20 ლარამდე. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციები არ არის გათვლილი ფისკალური ეფექტის მიღებაზე.

ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდის შემდეგ კონტრაბანდის შესაძლო მატებასთან დაკავშირებული რისკები გაანალიზებულია და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება. ამასთან, თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდა უპირობოდ არ იწვევს საცალო გაყიდვებზე ფასის მატებას და მისი მოცულობა დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ ვითარებაზე.

გუშინ თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ნაციონალურმა მოძრაობამ, სადაც ნათქვამია, რომ მოქალაქეების ის ნაწილი, რომელიც მოიხმარს ასეთი ტიპის პროდუქციას, იძულებული იქნება, გადავიდეს უფრო იაფფასიან და, შესაბამისად, ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანო თამბაქოს ნაწარმზე. შედეგად მოქალაქეებს, რომელთათვისაც თამბაქოზე დამოკიდებულება თავისთავად წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, სახელმწიფო კიდევ უფრო ურთულებს მდგომარეობას მოხმარებული პროდუქციის ფასის გაზრდით.

ნაციონალები მიიჩნევენ, რომ თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ზრდის რეალური მიზეზი არის, არა საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში გაჩენილი სერიოზული პრობლემის მოგვარების პრიმიტიული მცდელობა. თუმცა, ამ მიზნის მიღწევაც შეუძლებელი იქნება, რადგან გაიზარდა კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმის შემოსვლის ალბათობა, რაც გააჩენს სიგარეტის შავ ბაზარს და შეამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ გაითვალისწინოს ჩვენი პარტიის არაერთი შეთავაზება, გაატაროს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, მათ შორის, დასწიოს გადასახადები, მიდის საპირისპირო გზით, ზრდის გადასახადებს და ჩვენი გაჭირვებული მოქალაქეების ხარჯზე ცდილობს საკუთარი უუნარობის გამო შექმნილი საბიუჯეტო პრობლემის მიჩქმალვას“, — ნათქვამია ნაციონალური მოძრაობის განცხადებაში. მოკლედ, ნაციონალები უკვე ვიშვიშებენ გადასახადის გაზრდაზე,

არასამთავრობოები კი, რომლებიც თამბაქოს კონტროლზე მუშაობენ, ნაციონალებს ადანაშაულებენ თამბაქოს ინდუსტრიის ლობირებაში და ამბობენ, რომ საქართველოში ზედმეტად ხელმისაწვდომი იყო თამბაქო, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რყევას.

# ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბატონი ბიძინა ივანიშვილის როლი დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია. მისი ფიგურა იყო უალტერნატივო იმ საზოგადოებრივი ძალების გასაერთიანებლად, რომელმაც სააკაშვილის ავტორიტარული ხელისუფლება დაამარცხა და ძალაუფლების წყაროდ კვლავ ხალხი აქცია. ეს არის უდიდესი მიღწევა და ეს მონაპოვარი ველარასდროს დადგება ეჭვქვეშ. სააკაშვილის პერსონაც, ძალაუფლებაც და პარტიაც გუშინდელი დღეა. სულ მალე საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს და სახელისუფლო შტოების გამთლიანება მოხდება, რაც საშუალებას მოგვცემს დაუბრკოლებლად განვახორციელოთ ქვეყნის მმართველობა და მშენებლობა. ქვეყანის სტაბილურობაზე, მართვაზე და განვითარებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ აქვს აღებული. არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებდით კოალიციის პოლიტიკური საბჭოს ფორმატში. ბატონი ბიძინა არასდროს იღებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და მიუხედავად მისი უდიდესი როლისა, პრემიერობიდან წასვლის შემდეგ სახელისუფლო საქმიანობა კვლავ შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდება. სახელისუფლო ვერტიკალსა და ქმედითუნარიანობას არავითარი პრობლემა არ შეექმნება, რადგანაც ბატონმა ბიძინამ შეძლო ყველა მიმართულებით საკმაოდ ეფექტური გუნდის ჩამოყალიბება და ეს პროცესიც მუდმივად დახვეწისა და გაუმჯობესების რეჟიმში იქნება. მთავრობის საქმიანობა დაკავშირებულია უამრავ ყოველდღიურ გადაწყვეტილებასა და მართვასთან, რაც წარმატებით მიმდინარეობს იმ ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით, რაც ჩვენი საარჩევნო დაპირებებით განისაზღვრა, — აცხადებს კალაძე.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან წასვლა ივანიშვილს საშუალებას მისცემს მეტი ფოკუსირება მოახდინოს ქვეყნის ყველაზე პრიორიტეტულ საკითხებზე.

ექსპერტი მამუკა არეშიძე პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ კიდევ ერთ განცხადებას გაუმართლებლად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს.

— მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი წავიდეს პოლიტიკიდან, რადგან თუ ადამიანი არაკომფორტულად გრძნობს თავს ამ სიტუაციაში, შეიძლება წავიდეს პოლიტიკიდან, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ მოხდა მყარი კალაპოტის შექმნა იმ გარდაქმნებისთვის, რომელიც ქვეყანას აუცილებლად სჭირდება. ეს არის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, სამართლიანობის აღდგენა და ბევრი სხვა რამ. ამ ეტაპზე მისი წასვლის წინააღმდეგი ვარ. მომავალში, ვთქვათ ერთი წლის შემდეგ, ამის გაკეთება შეიძლება. მე ვშიშობ, რომ საზოგადოებიდან კონტროლი არ გამოვა. ვერ იქნება ისეთი ფორმა, როგორიც მას წარმოუდგენია. საზოგადოებიდან კონტროლის ფორმებმა ევროპაში არ იმუშავა გასული საუკუნის 60-იან წლებში. რაც შეეხება ხელისუფლებას, ის მძლავრ ვერტიკალს ვერ გვიტოვებს და ვთვლი, რომ ქვეყანაში შეიქმნება ქაოსი, — აღნიშნა არეშიძემ.

ამ თემაზე ალბათ კიდევ დიდხანს მოგვიწევს საუბარი. პრემიერი კიდევ ბევრ საინტერესოს გვეტყვის. სკანდალის გამომწვევი და ინტრიგნული განცხადებების გაკეთება კარგად ეხერხება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პრემიერმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ მისი ყველა ნაბიჯი ძალიან ზუსტად იყო გათვლილი“



შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი წასული არასდროს ყოფილა და ის მუდამ ხალხთან და ქვეყანასთან ერთად დარჩება“. ამის შესახებ ღარიბაშვილმა პრემიერის მიერ გავრცელებული ღია წერილის კომენტირებისას განაცხადა.

„მინდა, გითხრათ, რომ ბატონი ბიძინა ბრძენი ადამიანია. მან ზუსტად იცის რას აკეთებს, ასე, რომ მე ვერავითარ განმარტებას ვერ გავაკეთებ. ბატონმა ბიძინამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ მისი ყველა ნაბიჯი ძალიან ზუსტად იყო გათვლილი, შესაბამისად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკეთესად იყოს ჩვენი ქვეყანა, უკეთესად იცხოვროს ჩვენმა ხალხმა. რაც შეეხება მღელვარებას იმის თაობაზე, რომ ბატონი ბიძინა მიდის, მინდა, შეგახსენოთ, რომ ბატონი ბიძინა არასდროს ყოფილა წასული, პირიქით, ის მუდამ ხალხისა და ქვეყნის გვერდით იყო და ყოველთვის ხალხთან და ქვეყანასთან ერთად დარჩება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

**პირველი**

# პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ბრალი 8 პირს წაუყენეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, სხვადასხვა სასტუმროების და საუნის დროებით მფლობელებს: 1973 წელს დაბადებულ ციცინო კ.-ს, 1967 წელს დაბადებულ ფატიმა ა.-ს, 1954 წელს დაბადებულ მარიამ ბ.-ს, 1976 წელს დაბადებულ ნინო დ.-ს, 1953 წელს დაბადებულ ლუიზა კ.-ს, 1967 წელს დაბადებულ მარინე შ.-ს, 1959 წელს დაბადებულ დარეჯან ა.-ს და 1954 წელს დაბადებულ მერაბ ა.-ს ბრალი პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ფაქტზე წაუყენეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისში, გოგოლის, ცისკარიშვილის, გორგასლის, ხევძმარის, ნეველის ქუჩებსა და კახეთის გზატკეცილზე მდებარე სასტუმროებში, პროსტიტუციისათვის ოთახებს სისტემატურად აქირავებდნენ. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „ხალხს ბურჯანაძე ბაქრაძეს ურჩევნია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, საუბარია იმის თაობაზე, რომ საკმაოდ დაძაბული შემოდგომა გველის... ახალი ხელისუფლების მოსვლიდან თითქმის ერთმა წელმა გაიარა, მაგრამ საუბარია, რომ იმედგაცრუება მეტი იყო საზოგადოებაში, ვიდრე დანაპირების შესრულება. როგორია თქვენი შეფასება?***

— ე.ი. რა ხდება ამ ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში... საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მოლოდინი იყო გაცილებით მეტი, თუმცა მე მაინც მინდა, რომ მიღწევებზე საუბრით დავიწყო, იმიტომ, რომ მთლად ისე არ არის, რომ მიღწევები არ ყოფილიყოს. მთლიანობაში ის შიშის სინდრომი და ტოტალიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მოსმენა-დასმენები, სადისტური მოპყრობები პატიმრების მიმართ მოიშალა, აღარ არის ამის საფრთხე. სოციალურ სფეროში გარკვეული წარმატებებია, ის, რომ სადაზღვევო სისტემა ამოქმედდა, თუმცა როგორც ამბობენ, გარკვეული ხარვეზები აქაც არის. ასევე დადებითია ისიც, რომ პირველი სექტემბრიდან 150 ლარი გახდა პენსია, ფაქტიურად საარსებო მინიმუმს გაუტოლდა. ასევე სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დიდი თანხა, ერთი მილიარდი ჩაიდო და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დადებითად ეწერება ხელისუფლებას. რაც არის ყველაზე დიდი მინუსი, ეს არის სამართლიანობის აღდგენის დეფიციტი, ამ მიმართულებით გადადგმული ძალიან ნელი ნაბიჯები და ერთი ადგილის ტკეპნა. ფაქტიურად კვლავ ძველი ხელისუფლების კადრების პარპაში, საშუალო და საკმაოდ მაღალ რგოლებშიც, მე აღარაფერს ვამბობ დაბალ რგოლებზე. ეს ე.წ. კოაბიტაცია ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა მთელ საზოგადოებას. დღესაც სასამართლოში მესაუბრებოდა ერთი ქალბატონი, რომელიც ასაჩივრებს სასამართლო გადაწყვეტილებას. ბიზნესმენი იყო, რომელსაც წაართვეს ძალიან დიდი ქონება და დღემდე ის სამართალს ეძებს. ისეთი განერვიულებული და აკანკალებული ხმით მეუბნებოდა, რომ ის პროკურორი, რომელიც სასამართლოზე ჩემ წინააღმდეგ გამოდიოდაო, დღეს დანიშნეს იმ ადგილას, რომელსაც ევალება მისი საქმის გამოძიება, ანტიკორუფციულ დეპარტამენტში, ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად. ექსპერტიზის დანიშვნას ითხოვს ამდენი ხანია ეს ქალბატონი და რა თქმა უნდა, უჭიანურებენ. ეს არის ერთი კონკრეტული შემთხვევა, თუმცა დამახასიათებელი დღევანდელი რეალობისთვის. ეს თუ არ მოგვარდა, რა თქმა უნდა, საზოგადოება იქნება უკმაყოფილო. ამიტომაც არის მთავარ მინუსად, მთავარ მიუღწეველ შედეგად, ეს რომ მიაჩნია საზოგადოებას. სამართლიანობის აღდგენისკენ არანაირი ნაბიჯის გადადგმა არ იგრძნობა.

***— ასევე აქტიურად მიდის საუბარი ნაციონალების რევანშზე, მათ დაბრუნებაზე ხელისუფლებაში და ეს გამგებლების დონეზე უკვე დაწყებულიაო...***

— მე ორი კონკრეტული ფაქტის შესახებ ვიცი, ლენტეხისა და ბოლნისის მაგალითები, ამ საკითხზე ჩვენ მოგვმართეს და ამიტომ ვიცი ასე ზუსტად. ძალიან ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც დადიან ნაციონალური მოძრაობიდან, ანუ კანს იცვლიან და სხვა სახელს ირქმევენ. ან შედიან ქართულ ოცნებაში, ან რესპუბლიკურ პარტიაში და რეალურად ეს ხდება რაიონებში. ყველამ კარგად იცის, როგორ უსწორდებოდნენ ეს ადამიანები ოპოზიციის წარმომადგენლებს, როგორ აყალბებდნენ არჩევნებს ნაციონალების სასარგებლოდ და გამოდის, რომ ეს ადამიანები კვლავ ხელისუფლებაში არიან. ორი კატეგორია არსებობს ადამიანების, რომლებიც მუდმივად ხელისუფლებაში არიან და რომლებიც მუდმივად ოპოზიციაში, რანაირი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს. ეს არის მარაზმი, როდესაც ერთი პარტიიდან მეორეში გადამხტარი ადამიანები გვევლინებიან კვლავ ხელისუფლებაში. პროფესიონალიზმით კი არ გამოირჩევა ეს ხალხი, ისინი გამოირჩევიან, აი, ამ სიტუაციის მორგებით, გაძრომ-გამოძრომით და შეძრომით. ამ ხალხმა ახალ ხელისუფლებასთანაც კარგად გამონახა საერთო ენა. როდესაც უსამართლობაზე ვსაუბრობდი, არ შემიძლია არ აღვნიშნო უმუშევრობის არათუ დაძლევა, არამედ უფრო გართულება და გამწვავება. ეს არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რაც ასე ზრდის ხალხის უკმაყოფილებას ქვეყანაში და ქართული ოცნების მიმართ ამხელა აგრესიას.



***— გაღიზიანებულია საზოგადოება, რადგან კვლავ ძველი ხელისუფლების კადრები საქმდებიან ახალ თანამდებობებზე...***

— დიახ, სწორედ რომ ასეა. ისევ ძველი სახეები არიან ყველგან და ის ადამიანები, ვინც სისხლი ჩააქცია, ოფლი ჩააქცია ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში და ახლის ხელისუფლებაში მოყვანაში, ისინი კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში არიან.

***— რა პროცესებს ელოდებით წინასაარჩევნოდ, საუბარია, რომ პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა გველის... საქართველოში ჩამოვიდა სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ასევე აქტიურ ბრძოლას აპირებს პრეზიდენტობისთვის...***

— მე ვფიქრობ, რომ დიდი შეცდომაა, როდესაც ამდენი კანდიდატია, მე არაფერს ვამბობ იმ არასერიოზულ 40 და 50 კანდიდატზე, მე ვსაუბრობ იმ ხუთ-ექვს კანდიდატზე, რომლებსაც შეეძლოთ საერთო ენის გამონახვა და ერთი კანდიდატის წარმოდგენა. ნამდვილად იყო შესაძლებელი, რომ ერთიანი კანდიდატი წამოეყენებინათ. ჩემი აზრით, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და გარკვეულწილად ქართული ამბიციებისა და ამპარტავნობის გამოხატულებაა. ყველამ კარგად იცის, რომ თუ არა ერთი კანდიდატი, არათუ გამარჯვება, არამედ მეორე ადგილზე გასვლაც კი გაუჭირდეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს. იგივე დავითაშვილი იქნება, ნათელაშვილი, კირთაძე, სალომე ზურაბიშვილი თუ ბურჯანაძე, აი, ამ ადამაინებს შორის ერთი გამოკვეთილი კანდიდატი უნდა იყოს, ის, რომელსაც მეტი პერსპექტივა გააჩნია და მათ შორის უნდა მოხდეს შეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხმები დაიფანტება. ეს ადამიანები ერთმანეთს ართმევენ ხმებს და არა ნაციონალურ მოძრაობას და ქართულ ოცნებას. თუმცა მე მიმაჩნია, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი შანსები და მეტი რეიტინგი, დღეს ამ კანდიდატებს შორის გააჩნია ნინო ბურჯანაძეს. თუმცა შესაძლოა მათ ეს არ სჯერათ, ეს ჩემი შეფასებაა, ადამიანის, რომელიც გარედან ვაკვირდები პროცესებს. თუმცა მათ შეუძლიათ სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება და მე რამდენადაც ვიცი, ეს სოციოლოგიური კვლევებიც სწორედ ამას ადასტურებს. ახლა ბაქრაძეს თავისი 5-10% ყოველთვის ექნება და თავისი მყარი ამომრჩეველი ჰყავს. ოცნებას რაც შეეხება, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს 50%-ზე მეტი მარგველაშვილს ნამდვილად არა აქვს, მიუხედავად ხალხში მათი ავტორიტეტისა, მან შესაძლოა 30-40%-მდე მიიღოს და თუ ეს კანდიდატები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, შეიძლება მივიღოთ ის, რომ მეორე ტურში მეორე ადგილზე ისევ ბაქრაძე მოგვევლინოს.

***— თუმცა ჩვენ ვნახეთ ასეთი შედეგი ერთ-ერთი სოციოლოგიური კვლევის, სადაც მეორე ადგილი სწორედ ბაქრაძეს უჭირავს, ხოლო ბურჯანაძე 7%-ით მესამე ადგილზეა... ეს რამდენად რეალური კვლევებია?***

— დიახ, ჩემთვისაც ცნობილია ეს კვლევები, ბაქრაძეს 9% აქვს და ბურჯანაძეს 7%. მე მეეჭვება, რომ ეს ასახავდეს არსებულ რეალობას. ეს უფრო სურვილია ქართული ოცნების. ამას ლევან ბერძენიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, მირჩევნია მეორე ადგილზე დავით ბაქრაძე გავიდეს, ვიდრე ნინო ბურჯანაძეო. როგორც ჩანს, ეს მთლიანად ქართული ოცნების პოზიცია და მათი სურვილია. რადგანაც მათი სურვილია, ბუნებრივია, მათ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაშიც ასე დაფიქსირდებოდა ეს პოზიციები. რეალობა, მე მგონი, ცოტა სხვანაირია.

***— რატომ ურჩევნიათ ბაქრაძე ბურჯანაძეს? როცა მეორე ადგილზეა საუბარი?***

— იმიტომ, რომ ნებისმიერ პარტიას, მით უმეტეს, სახელისუფლო ძალას ურჩევნია პოლიტიკურ ოპოზიციად, ის, ვინც არის უფრო სუსტი, ურო მეტად დისკრედიტირებული, რომელსაც არა აქვს მხარდაჭერა და სწორედ ასეთია დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც მართალია ჰყავს მყარი ამომრჩეველი, მაგრამ 5-10%-ის ფარგლებში და ასევე ზიზღი და სიძულვილი საყოველთაო და ამაზე უკეთესი რა არის მმართველი პარტიისთვის, როდესაც ოპოზიცია ხალხს ეზიზღება და სიმართლეც რომ ილაპარაკონ, მათი სიმართლისაც აღარავის სჯერა. ნინო ბურჯანაძეს რაც შეეხება, თავისი წარსული პოლიტიკური ცოდვების მიუხედავად, რომელიც მას უდავოდ ჰქონდა...

***— და ძალიან ხშირად უხსენებენ მას ამ ცოდვებს...***

— ხო, მაგრამ ამის მიუხედავად დღეს მას გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს და სააკაშვილის ჩამოცილების შემდეგ მან ხალხში დაამტკიცა, რომ რეალურად ძლიერი პოლიტიკოსია და საკმაოდ დიდი მხარდაჭერაც აქვს საზოგადოებაში და მით უმეტს, მზარდი მხარდაჭერა, რომელიც პლუსებისკენ მიდის და არა მინუსებისკენ. ასეთი პოლიტიკური ძალა, ბუნებრივია სახიფათოა ნებისმიერი მმართველი პარტიისთვის და მათ შორის ქართული ოცნებისთვის. ამიტომ სრულიად გასაგებია ქართული ოცნების სურვილი, რომ მეორე ადგილზე მათ ბაქრაძე ურჩევნიათ.

***— თქვენი აზრით, რამდენად იქნება აქტიურობა ამ არჩევნებზე, უკვე იმდენჯერ გაუცრუვდა იმედი საზოგადოებას, რომ... ელოდებით ხალხის აქტიურობას?***

— მე ვფიქრობ, აქტიურობა იქნება მოტივირებული ადამიანების მხრიდან, ვინც ერთი მხრივ მყარად უჭერს მხარს ამა თუ იმ კანდიდატს და ის, ვინც არის მოწინააღმდეგე ამა თუ იმ კანდიდატის. შეიძლება მყარად არ უჭერდეს ვინმეს მხარს, მაგრამ მყარად არ მოსწონს ბაქრაძე, მარგველაშვილი ან ბურჯანაძე და ის ვიღაცა სხვას მისცემს ხმას. ვისთვისაც სულერთია, პრინციპში ის აქტიურიც არ იქნება. მე მაინც მგონია, რომ მოტივირებული ნაწილი მეტი იქნება, ვინაიდან ჩვენი საზოგადოება რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, პოლიტიკურად აქტიურია ამდენი ბრძოლების გადატანის შემდეგ და ამომრჩეველთა რაოდენობა 50%-ზე მეტი ნამდვილად იქნება. ეს შეიძლება არ იყოს 60-70%, მაგრამ 50%-ზე ცოტა მეტი ამომრჩეველთა რაოდენობა მივა არჩევნებზე. რაც შეეხება იმას, თუ აქედან როგორ განაწილდება ხმები, მე არ მგონია, რომ რომელიმე კანდიდატმა პირველ ტურში მიიღოს 40%-ზე მეტი. რა თქმა უნდა, თუ არ მოხდა მასობრივი გაყალბება.

***— ესე იგი მეორე ტური გარდაუვალია?***

— მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად იქნება მეორე ტური.

# ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, 16 ხმით, საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია ქინქლაძე თანამდებობიდან გადააყენეს. დღევანდელ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ახალ თავმჯდომარედ დავით იმერლიშვილი აირჩიეს, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო. ახმეტის საკრებულო 25 წევრისგან შედგება. სხდომას 19 დეპუტატი ესწრებოდა. თავმჯდომარისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების საკითხის კენჭისყრაში ზაქარია ქინქლაძის გარდა მონაწილეობა საკრებულოს კიდევ 2-მა წევრმა არ მიიღო.

ზაქარია ქინქლაძის განცხადებით, იმპიჩმენტის გამოცხადებამდე საკრებულოს წევრები ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ბიუროში დაიბარეს, მათზე ზეწოლა განახორციელეს, რათა მისთვის იმპიჩმენტი გამოეცხადებინათ.

როგორც ცნობილია, 22 აგვისტოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში საკრებულოს 12 წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება დარეგისტრირდა, რომლითაც საკრებულოს წევრები თავმჯდომარის თანამდებობიდან ზაქარია ქინქლაძის გადაყენებას ითხოვდნენ დასაბუთების და საკითხის არსებითი განხილვის გარეშე. საკითხის განხილვა ჩავარდა. ბიუროს სხდომაზე, 7 წევრიდან, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან ზაქარია ქინქლაძის გადაყენების საკითხის დაყენებას 23 აგვისტოს დაგეგმილ საკრებულოს სხდომაზე, მხარი მხოლოდ გელა ონიაშვილმა და ბელა მარუქაშვილმა დაუჭირეს. ქვემო ალვანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი აფთარაულმა განაცხადა, რომ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვის წინააღმდეგია. ბესიკ ყიზილაშვილმა, ფირუზ შიომღვდლიაშვილმა და გივი უძილაურმა ხმა არ ამოიღეს, რაც საკრებულოს დებულების თანახმად ნიშნავს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

23 აგვისტოს, უკვე 14 წევრის ხელმოწერით საკრებულოში ახალი მიმართვა დარეგისტრირდა. საკრებულოს წევრები, მათ შორის მათ, ვინც წინა დღეს, ბიუროს სხდომაზე თავმჯდომარის გადაყენების საკითხის განხილვას მხარი არ დაუჭირეს, ისევ იმპიჩმენტი მოითხოვეს. საკრებულოს თავმჯდომარე საკითხის განხილვას 30 აგვისტოსთვის გეგმავდა, თუმცა დღეს, 26 აგვისტოს, საკრებულოს წევრებმა მესამე მიმართვა დაარეგისტრირეს და იმპიჩმენტის საკითხის განსახილველად რიგგარეშე სხდომის მოწვევა 26 აგვისტოსვე მოითხოვეს. იმავე დღეს, საკრებულოს წევრებმა თავმჯდომარის იმპიჩმენტის შესახებ განცხადება უკან გაითხოვეს, თუმცა საკრებულოს სხდომის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი მეოთხედ დააყენეს და რიგგარეშე სხდომის მოწვევა 2 სექტემბერს მოითხოვეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი უკვე იტყობინებოდა, რომ საკრებულოს წევრებზე ზეწოლა განხორციელდა ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბექა ბაიდაურის და შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის გოგიტა ღარიბაშვილის მიერ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, საკრებულოს წევრებს დაემუქრნენ, რომ თუ თავმჯდომარის იმპიჩმენტს არ მოითხოვდნენ და მხარს არ დაუჭერდნენ, მათ პრობლემები შეექმნებოდათ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დავით ბაქრაძე: „ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი შეიქმნება“

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, „პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი შეიქმნება“. ამის შესახებ ბაქრაძემ ივანიშვილის მიერ საზოგადოების მისამართით გავრცელებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, სადაც პრემიერი პოლიტიკიდან მისი წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობს. „მიმაჩნია, რომ ეს სურვილიც და თვითონ ეს განცხადებაც ქვეყნისთვის სერიოზულ რისკებს შეიცავს და შევეცდები ის ძირითადი რისკები დაგისახელოთ, რომელთაც მე ვხედავ. პირველი — ქართული ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია, ასეთი ტიპის განცხადება ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან არასტაბილურობის განცდას აძლიერებს. მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ გაცემულ საარჩევნო დაპირებებს უკავშირდება. არ არის დასამალი, რომ ჩვენი ხალხის თავში ეს დაპირებები და მათი შესრულებაც სწორედ უკავშირდება პირველ რიგში, ჩვენი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის სახელს. ამ დაპირებების დიდი ნაწილი დღემდე შეუსრულებელია და მესამე — ხელისუფლების დეფიციტის საფრხზეა ამ ქვეყანაში, ვინაიდან ქვეყანა ძალიან სერიოზული საგრეო გამოწვევების წინაშე დგას. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მიერ მცოცავი ოკუპაცია გრძელდება, ჩვენი ორი რეგიონი ოკუპირებულია. ასევე, სირიის კრიზისს შეიძლება, ჰქონდეს ძალიან სერიოზული ნეგატიური გავლენა რეგიონსა და ქვეყანაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოში არსებობს შიდა სტაბილურობის პრობლემა. იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებაში შემავალ პარტიებს გააჩნიათ განსხვავებული ხედვა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ამ ყველაფრის გარანტორი გახლავთ ლეგიტიმურად, მაღალი მხარდაჭერით არჩეული პრემიერ-მინისტრი. მისი წასვლის შემთხვევაში მე ვფიქრობ, ქვეყანაში შეიქმნება გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაზე და გააძლიერებს არასტაბილურობისა და ქაოსის განცდას“, — განაცხადა ბაქრაძემ.

**პირველი**

# ნაციონალური მოძრაობა ვანო მერაბიშვილის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვს

ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას პარტიის გენერალური მდივნის, პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას სთხოვს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, ცხადია, რომ მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა წესრიგში არ არის.

„ეს არის სრულიად ცხადი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის სრულიად წესრიგში. ჩვენ ვიცით, რომ მას აქვს გულთან დაკავშირებული პრობლემები. ეს დასტურდება იმითაც, რომ ციხის ექიმები ყოველდღიურ რეჟიმში მასთან შედიან და როგორც ჩანს, არანაირ გაუმჯობესებას არ აქვს ადგილი. გვინდა შევუერთდეთ ადვოკატის დღევანდელ მოთხოვნას, რომ მასთან შეუშვან სხვა ექიმები, რომელსაც ოჯახი გამოძებნის. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ დიაგნოზი, ან სხვა შემთხვევაში, ის გადაიყვანონ სამედიცინო სამოქალაქო სექტორში“, — განაცხადა გაბაშვილმა.

**მედიანიუსი**

# „ომის დროს ზაზა გოროზია და თენგიზ გუნავა რუს გენერლებს მძღოლებად ჰყავდათ“

გულიკო ბალაძე

გიგი კალანდაძე ცხინვალიდან გამოიქცა და ჯარისკაცები მიატოვა, მთავარსარდალი კი მიწაზე ფორთხავდა, ხოლო ის ზონდერი, რომელმაც გია კრიალაშვილი და კობა ოთანაძე ჩაცხრილა, ახლა სამხედრო პოლიციის უფროსია.

რა ხდებოდა შეიარაღებულ ძალებში ომის შემდეგ და რა ხდება დღეს? მუხროვანის ბატალიონის ასმეთაურის უფროსი, სენაკის ბატალიონის მეთაური, კაპიტანი მაიზერ გელოვანი, შეიარაღებულ ძალებში შექმნილ მდგომარეობაზე, აგვისტოს ომსა და ომის შემდგომ პერიოდზე საუბრობს. მისი თქმით, დღეს თავდაცვის მინისტრი იმავე შეცდომებს იმეორებს, რაც წინა ხელისუფლებამ დაუშვა. თანამდებობებზე უცოდინარი აქტივისტები ან ნაციონალები ინიშნებიან, ხოლო სამსახურიდან გაყრილ პროფესიონალებს დაბრუნებაზე უარს ეუბნებიან.

***— ბატონო მაიზერ, როდის დაგითხოვეს ჯარიდან?***

— ახალაიას თავდაცვის მინისტრობის დროს დამითხოვეს სამსახურიდან, უფრო სწორად, 2011 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი.

***— რა გახდა თქვენი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი?***

— ჯერ მითხრეს, რომ თავდაცვის ქვედანაყოფი დაიშალა, მუხროვანის ქვედანაყოფი, რომელშიც მსახურობდნენ ბიჭები ქვედა ქართლიდან. ისინი ყველანი საომარ სიტუაციაში მონაწილეობდნენ. ორი მიზეზი დაასახელეს — ჯარისკაცები შიდა ქართლიდან რომ იყვნენ და წარმოშობით შიდა ქართლიდან იყო ირაკლი ოქრუაშვილიც. სინამდვილეში, იცით, რა მოხდა? როცა ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მეთაურები მთავარ შტაბში დაგვიბარეს და გვითხრეს: დაავალეთ თქვენს ხელქვეითებს, რომ თავიანთ სოფლებში ხალხი მოაგროვონ; შეიქმნას ჯგუფები, თითქოს რუსები შემოდიან და ყველამ თავისი სოფელი დაიცვასო. ამ დროს წინა პერიოდში ვინც ნაბრძოლი იყო და სამხედრო საქმე იცოდა (პროფესიონალი და ღირსეული კადრები) — ყველა ჯარიდან გაყარეს. პირადად მე, მუხროვანის ბატალიონის ასმეთაურს, მითხრეს, რომ 26 მაისის მიტინგი უნდა დამეშალა, რაზეც უარი განვაცხადე. ამის შემდეგ, მართალია, არაფერი მითხრეს, მაგრამ ბატალიონი დამიშალეს. ისინი, ვინც მიტინგებს შლიდნენ, მაღალ ხელფასსა და პრემიებს იღებდნენ. სამი თვის წინ ყოფილი ზონდერი დააწინაურეს. ის პოლიციის ქვედანაყოფის მეთაური გახდა. ეს ის ზონდერია, რომელმაც გია კრიალაშვილი ჩაცხრილა და ოთანაძეს ხელები დაუხვრიტა.

***— ვისზე საუბრობთ?***

— სახელ-გვარს ვერ გეტყვით, ყველამ კარგად იცის, ვინც არის.

***— ანუ რატომ გაყარეს პროფესიონალები ჯარიდან?***

— საქმის მცოდნეებს არ ენდობოდნენ. სამსახურში და თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთები, ვინც არაფერი იცოდა, არ ჰქონდა ავტორიტეტი, მაგალითად, ზურაბ შამათავა, რომელიც იყო ახალაიას ნათესავი და თანაკლასელი. შამათავა ჯერ მუხროვანის ბატალიონის მეთაურად დაინიშნა, შემდეგ იქიდან რაღაც მიზეზის გამო გაუშვეს.

***— დააშავა რაიმე?***

— ამბობენ, რომ რაღაცას ჩალიჩობდა. მერე სულ დააწინაურეს.

***— რას ნიშნავს, ჩალიჩობდა? კორუფციაში იყო მხილებული?***

— ჰო, ასე ამბობდნენ. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ შამათავა დააწინაურეს და მეოთხე ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. ამის შემდეგ ისეთი სიტუაცია შეიქმნა ჯარში, რომ თითქმის ყველა, ვისაც რამე ესმოდა სამხედრო საქმისა და ვისაც ავტორიტეტი ჰქონდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებში, ღირსეული პიროვნებები ერთი ხელის მოსმით გაუშვეს. ისინი სხვადასხვა მიზეზით გაყარეს სამსახურიდან. ოფიცრები და სამხედრო ჩინის მქონე პირები ისე გაუშვეს, სულაც არ აინტერესებდათ მათი ბედი, ვინ სად იმუშავებდა.

***— რამდენი სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს?***

— დაახლოებით 5 ათას კაცზე მეტი.

***— ახალაია ჯარისკაცების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში დაადანაშაულეს. რას იტყოდით ამის შესახებ?***

— მე ჯერ სენაკის ბატალიონის მეთაური ვიყავი, რომელიც 2009 წლის ბოლოს დაშალეს, შემდეგ მუხროვანში გადმომიყვანეს სპეციალური ოპერაციის ძალებში ასეულის მეთაურად, სადაც 2010 წლიდან 2012 წლამდე ვმუშაობდი. მე რომ მივედი, ჩემი ბატალიონი ჩამოყალიბების პროცესში იყო. ჩამოვაყალიბე საუკეთესო ასეული. 1500 კაციდან შევარჩიეთ საუკეთესო სამასი სამხედრო მოსამსახურე. რამდენი ტყვია-წამალი და ფული დაიხარჯა ამ ქვედანაყოფის სამხედრო მომზადებაში, მაგრამ მერე დაშალეს. რისთვის?

პირადად ჩემი თვალით არ მინახავს, ახალაია რომ ჯარისკაცებს აწამებდა, მაგრამ ძალიან ბევრჯერ მსმენია ერთი ფაქტის თაობაზე. მუხროვანში 2010 წელს, სადღაც მაისში, ჯარისკაცებმა ანაშა მოწიეს. ეს ამბავი მინისტრამდე მივიდა. ამის გამო მთელი ბატალიონი გამოიყვანა მინისტრმა, მოაწყო და შეურაცხყოფა მიაყენა — აგინა ოფიცრებს და აფურთხა; მერე ჩამოიყვანა მთელი ბატალიონი და იქ, სადაც წყლის არხი ჩამოდის, თბილისის ზღვაზე, არხში ჩააწვინა მთელი ბატალიონი, აწამეს. შემდეგ ჯარისკაცები ჩაიყვანეს ვაზიანში და იქ აწამებდნენ, არაადამიანურად ეპყრობოდნენ. ამ ამბის მერე ბევრი გაყარეს ბატალიონიდან. ჯარისკაცები მაგარი წნეხის ქვეშ გაატარეს. ჩვენი ბატალიონი ვაზიანში ჩაგვიყვანეს 5 დღით. ერთ ღამეს ბიჭებმა მითხრეს, რომ წინა დღეს 7 ჯარისკაცს სასიკვდილოდ სცემეს ახალაიამ, შამათავამ და სხვებმა. ცემის მიზეზი ერთ-ერთი ჯარისკაცის გინება იყო. ის სუფრასთან იჯდა და ახალაიას შეაგინა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ეს ამბავი მინისტრს მიუტანა. ისეთი სიტუაცია იყო, ჯარისკაცები ერთმანეთს არ ინდობდნენ — ზოგი თავის გადასარჩენად, ზოგი — კარიერის გასაკეთებლად. ბაჩო ახალაიას დროს ჯარში საშინელი სიტუაცია შეიქმნა, ხდებოდა ჯარისკაცების დათრგუნვა და აბუჩად აგდება. დამცირებული ჯარისკაცი კი ომს ვერ მოიგებს. მათ ეს არ აინტერესებდათ, მათი მიზანი იყო, როგორმე დაემორჩილებინათ და ყველა უკანონო ქმედებით ხელში ჰყოლოდათ ჯარი. ბატალიონის მეთაურებად ინიშნებოდნენ არაკომპეტენტური, არაფრისმცოდნე ადამიანები. ეს არ მოსწონდათ ხელქვეითებს. კაცი რომ 10-15 წელს იმსახურებ ჯარში და არაფრისმცოდნე, გამოუცდელ პირს დაგიყენებენ ბატალიონის მეთაურად, არ მოგეწონება. ეს ხომ არავის მოსწონს. ამას თვითონაც ხვდებოდნენ და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ სამხედრო მოსამსახურეების დამორჩილებას, თუ არადა, გააგდებდნენ სამსახურიდან. მე მაქვს სახლში ჯარისკაცების მესიჯები, რომლებიც უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს სწერენ, გვიშველეთ, გვცემენო.

***— თქვენ ჯარში არსებულ არაპროფესიონალიზმზე საუბრობთ. ახალაია იყო პროფესიონალი?***

— თავდაცვის მინისტრიც პროფესიონალი უნდა იყოს. მინისტრი და მისი მოადგილეები და ყველა, ვისაც ჯარი აბარია, საერთოდ, ჯარის აზრზე რომ არ იქნება, არც ჯარში იქნება ნამყოფი, ასეთი ადამიანი ჯარს როგორ გაუძღვება? არც კეზერაშვილი იყო პროფესიონალი, მაგრამ მისი მინისტრობის დროს ჯარში ზეწოლები და წამება არ ყოფილა. ახალაიას დროს კი სასწაული რაღაცები ხდებოდა ჯარში — ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ან აწამებდნენ, ან ჯარიდან აგდებდნენ პოლკოვნიკებს, მაიორებს, კაპიტნებს, რომლებმაც 10-15 წელი იმსახურეს ჯარში, ყველა ომი მოიარეს. ზოგი დაჭრილი იყო, რაც მათ არ აინტერესებდათ. მათ სურდათ დაჩიავებული, დამცირებული ჯარისკაცი და ოფიცერი. ჯარი გამოიყენებოდა ნაცმოძრაობის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. თუ ხელისუფლებას ვინმე რამეს გაუბედავდა ან მიტინგს მოაწყობდა, იმ მიტინგის დასასჯელად გამოჰყავდათ. თავდაცვის მინისტრი პატრიოტებსა და სამშობლოს მოყვარულ სამხედროებს ვერ იტანდა. ასეთი პირების მიმართ კომპლექსები ჰქონდათ.

***— აგვისტოს ომში მონაწილეობდით? რამ განაპირობა, თქვენი აზრით, ომში წარუმატებლობა?***

— აგვისტოს ომში, რა თქმა უნდა, ვმონაწილეობდი. მაშინ სენაკის ბატალიონის მეთაური ვიყავი. ომში წარუმატებლობა განაპირობა არაპროფესიონალიზმმა და უცოდინრობამ, მეთაურებად არაფრისმცოდნე პირების დანიშვნამ და, რაც მთავარია, მთავარსარდლის სიმხდალემ. როცა მთავარსარდალი უცოდინარი და უავტორიტეტო ადამიანია, ხოლო მასზე უარესები ქვემოთ ინიშნებიან, იქ ომის მოგება ძნელია. ერთ-ერთი ღირსეული დავით აფციაურია. როგორც კი ომი დამთავრდა, ის სამსახურიდან დაითხოვეს. რეზერვისტებს საყვედურობდნენ, არაფერი გააკეთესო. რა უნდა გაეკეთებინათ 18-დღიანი მომზადებით? ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოგონილი იდიოტიზმი. სად გაგონილა 18 დღეში მომზადებული ჯარი? რეზერვისტი სულ სხვა რამ არის. რეზერვად უნდა ჩაირიცხონ ჯარში ნამსახურევი ადამიანები. 18 დღეში ადამიანი სიარულს ვერ ისწავლის, არათუ სამხედრო საქმეს. ჯარისკაცმა 6 თვე მაინც უნდა ისწავლოს, რომ ელემენტარული რაღაც მაინც იცოდეს, როგორ მოიქცეს საომარ სიტუაციაში. ეს იყო სააკაშვილის მიერ მოგონილი 18-დღიანი კრეტინიზმი და სხვა არაფერი.



***— აგვისტოს ომს, ფაქტობრივად, უგენერლო ომს ეძახიან და ამბობენ, რომ ომი ჯარისკაცების ზურგზე გადავიდა. ამბობენ, მეთაურებმა ჯარისკაცები მიატოვესო. თქვენ რას იტყოდით?***

— რა თქმა უნდა, ასეა, სადაც შტაბის უფროსი იქნება ზაზა გოგავა და მინისტრი კეზერაშვილი (ასეთი ადამიანები, რომ იქნებიან მინისტრი და შტაბის უფროსი), რომლებმაც ჯარის ინჩი-ბინჩი არ იციან და, საერთოდ, არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ არც ჯარში და არც საზოგადოებაში, იქ სუფთა ანარქია იქნება. ასე იყო აგვისტოს ომის დროს. ომის დროს ვინ სად შედიოდა, ვინ საიდან გამოდიოდა და ვინ იძლეოდა ბრძანებას, არავინ იცოდა. ერთადერთი, ნამდვილი მეომარი იყო ანზორ მარგიანი, პოლიციის გენერალი, რომელიც სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

***— პოლიციის გარდა, კიდევ რომელი სტრუქტურა იყო ჩართული ომში?***

— სასჯელთაღსრულება, პოლიცია და, თუ ვინმეს ფორმა ეცვა, ყველა წაიყვანეს, მაშინ ავტობუსის კონტროლიორები არ იყვნენ, თორემ მაგათაც გაიწვევდნენ. ჯარისკაცები ყველა გმირები არიან. მეთაურებმა კი ჯარისკაცები მიატოვეს. გიგი კალანდაძე მაშინ მეოთხე ბრიგადის მეთაური იყო. მანაც მიატოვა ჯარი, უფრო მეტიც, მან შეიყვანა თავისი ქვედანაყოფი ცხინვალში, იქ დატოვა და თვითონ გამოიქცა, ჯარისკაცები კი ჩაწყდნენ იქ. გიგი კალანდაძეს შეეშინდა და გამოიქცა. ვინც იქ დარჩა, ბოლომდე იომა. ომიდან დაბრუნების შემდეგ ასმეთაურებიდან და ათმეთაურებიდან ზოგი დააპატიმრეს, ზოგი დაითხოვეს სამსახურიდან, რადგან ხელისუფლებას არ აწყობდათ მათი დარჩენა. ხელისუფლებას ეშინოდა, რომ ეს ადამიანები სიმართლეს იტყოდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიქცნენ მეთაურები ომიდან.

***— თქვენი ბატალიონი სად იყო?***

— ჩვენ მოვემზადეთ მუხროვანში და ვიდექით სენაკში, როდესაც დავიძარით^ აღმოსავლეთისაკენ, დაგვბომბეს. 7 ჯარისკაცი დაგვეღუპა, 50 დაიჭრა. სენაკის ბაზაზე 5 ბატალიონი მოგვაგროვეს. მთელი დღე და ღამე ველოდებოდით გამოსვლის ბრძანებას, მაგრამ არანაირი ბრძანება არ მოგვივიდა ზემოდან. ამ დროს, 7 აგვისტოს, ჩვენი ბაზა დაბომბეს. დაბომბვა რამდენჯერმე გამეორდა. ფოთს დაარტყამდნენ, მერე სენაკსა და კოპიტნარს, წავიდოდნენ, შემდეგ ისევ მოვიდოდნენ, დაგვბომბავდნენ და ასე მონაცვლეობით ახდენდნენ საჰაერო დარტყმებს. როცა რუსები ზუგდიდს გამოსცდნენ, მხოლოდ მაშინ მივიღეთ ბრძანება, რომ დაგვეტოვებინა ბაზა. ჩვენ შეგვეძლო, ბაზიდან გამოგვეტანა იარაღი, მაგრამ ბაზის დატოვების ბრძანება გვიან მივიღეთ, მაშინ, როცა ამის დრო აღარ იყო. სამწუხაროდ, მთელი სამხედრო ტექნიკა და იარაღი რუსებს დარჩათ.

***— კოდორის ხეობა როგორ აიღეს რუსებმა?***

— ეს უკვე სხვა სიტუაციაა. კოდორში შეყვანილი იყო ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმები, კუდი, სოდი და სხვა. შეტევა რომ დაიწყო, კუდის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მირეკავს და მეუბნება, კოდორიდან გამოვდივარ და როგორ გამოვიდეო? შე კაი დედმამიშვილო, კოდორიდან გამოსასვლელიც და შესასვლელიც ერთი გზაა, ქალაქი კი არ არის კოდორი, გზა რომ ვერ იპოვო და გზები აგერიოს? ერთადერთი გზაა აქეთ გამოსასვლელი, მეორე გზა სოხუმში მიდის. ისე იყვნენ დაბნეულები, კოდორიდან გამოსასვლელ გზას ვერ პოულობდნენ.

***— კოდორი ხომ უბრძოლველად ჩააბარეს?***

— დიახ. ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, ისე ჩააბარეს კოდორი. დაყარეს ტყვია-წამალი და წამოვიდნენ. ასეთი ბრძანება მიიღეს აქედან. მაშინ შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყო.

***— ვინ არის ომში დამნაშავე?***

— დამნაშავეა ის მხარე, ვინც თავს დაგვესხა ანუ რუსეთი, რა თქმა უნდა, მაგრამ დამნაშავეა ჩვენი მთავრობაც, რადგანაც ომი წააგო 3 დღეში. მიზეზი კი არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება იყო. როცა მთავარსარდალი სააკაშვილი მიწაზე ეცემოდა და ფორთხავდა, მაშინ მისი ხელქვეითებიც იმავეს აკეთებდნენ. მეთაური უნდა იყოს ლიდერი, რომელმაც მაგალითი უნდა მისცეს ყველას. რაც შეეხება გიგი კალანდაძეს, ის ომის შემდეგ გახდა გენერალი. მას დაჰკიდეს ყველა ორდენი, თუ რამე ორდენი არსებობს საქართველოში. რა დაიმსახურა გიგი კალანდაძემ ასეთი, არ ვიცი. რაც შეეხება თენგიზ გუნავასა და ზაზა გოროზიას, რომ იძახიან, გმირები არიანო, რა გააკეთეს ასეთი? სად იბრძოდა და ვის გაუწიეს წინააღმდეგობა? გოროზია და გუნავა ზუგდიდში მძღოლებად ჰყავდათ რუს გენერლებსა და პოლკოვნიკებს, ვარძელაშვილი კი — გორში.

***— რუსებს რატომ?***

— იმიტომ, რომ ასე ავალებდნენ და აკეთებდნენ.

***— თქვენი აზრით, ომის დამნაშავეები უნდა დაისაჯონ?***

— აუცილებლად. პირველ რიგში, უნდა დაისაჯოს მთავარსარდალი. მას მიჰყვებიან კეზერაშვილი და კალანდაძე. საჭიროა, გამოძიებულ იქნეს ომის ყველა დეტალი. უნდა დაითხოვოს ყველა, მთავარსარდლიდან დაწყებული, ჯარისკაცებით დამთავრებული. აუცილებელია ჩატარდეს კომპეტენტური გამოძიება.

***— შეიარაღებულ ძალებში თუ დაბრუნდნენ პროფესიონალები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ გაყარა? რა ხდება დღევანდელ ჯარში?***

— დღეს ჯარში მთლად საშინელება ხდება. იმაზე უფრო უარესი სიტუაციაა, რაც იყო.

***— რას გულისხმობთ?***

— მართალია, ჯარში ცემა-ტყეპა აღარაა, მაგრამ კადრების საკითხია ცუდად. ჯარში არიან დარჩენილი ისევ ნაციონალები, ჯარიდან გაყრილ თუ დათხოვილ პროფესიონალ სამხედრო პირებს კი, რომლებიც ითხოვენ დაბრუნებას, უარს ეუბნებიან. მე მაიძულეს, წავსულიყავი ჯარიდან. იმედი მქონდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაბრუნდებოდი მაგრამ (ნოემბრის მერე დავწერე განცხადება) ჯერჯერობით იმედი არ მაქვს, რომ სამხედრო სამსახურში დამაბრუნებენ, თუმცა სამხედრო საქმის გამოცდილება და კაპიტნის წოდება მაქვს. ვიყავი პოლკოვნიკ გელა კოპალიანთან. ის შემპირდა, რომ მიმიღებდა, 4 თვე მალოდინეს და ბოლოს მითხრეს, რომ ვერ გადაწყვიტეს ჩემი ჯარში დაბრუნების საკითხი. ბოლოს მინისტრ ალასანიასთან მივიდა ჩემი ახლობელი ჟურნალისტი და უთხრა ჩემ შესახებ. ალასანიამ უპასუხა, რას ჰქვია, თუ ასეთი პროფესიონალია და ჯარში არ არის, აუცილებლად დავაბრუნებთო. ალასანიამ საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროს ლევან ჯორბენაძეს დაავალა ჩემი ბიოგრაფია მიმეტანა. ბიოგრაფია მართლაც წარვუდგინე. იყო შეპირებები, რომ დამაბრუნებდნენ. სამი თვე მატყუებდა ჯორბენაძეც და არ მიიტანა ჩემი ბიოგრაფია მინისტრამდე. ასე დასრულდა ჩემი სამსახურში დაბრუნების ამბავი. მაინტერესებს, რატომ? ჩემნაირი ბევრია. არც ერთი მათგანი არ დააბრუნეს. შექმნეს კომისიები, რომელსაც უნდა განეხილა ჯარიდან დათხოვნილი თუ გაყრილი პროფესიონალების საქმე და დაებრუნებინა ისინი, მაგრამ რა ხდება, ერთი ჩემი ახლობლის დიმიტრი ჯავახიშვილის მაგალითით ჩანს. დიმიტრი ჯავახიშვილი დაიბარა კომისიამ და თითქოს გადაწყვიტა მისი ჯარში დაბრუნება. ის გააგზავნეს ქუთაისის ბრიგადაში, მაგრამ, როცა ადგილზე მივიდა, ქუთაისში, ერთ-ერთ ბატალიონში, მეთაურმა უარი უთხრა. ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, ასე უთქვამთ, მაგათი დრო წავიდა, მაგათ ჯარს არ გავაკარებთო.

***— რატომ, რა დააშავეთ?***

— ის დავაშავეთ, რომ მათზე მეტი ვიცით. მე ძალიან უკმაყოფილო ვარ ამ ხელისუფლებისა და თავდაცვის მინისტრის. წინასაარჩევნოდ ჩემს ოჯახში იყო შტაბი გახსნილი. მაშინ, როცა ყველას ეშინოდა, მე „ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი. ზურაბ აბაშიძე იყო მაშინ ჩვენთან და მითხრა, თუ რამე დაგჭირდეს, დამიკავშირდიო. მართლაც, ახლახან დავურეკე, შემპირდნენ, ირაკლი ალასანიას შეგახვედრებთო, მაგრამ დღემდე არ შევხვედრივარ. სამი შვილის მამა სამი წელია უმუშევარი ვარ. დღემდე მატყუებენ და სამსახურს მპირდებიან, მაგრამ ამაოდ. სამხედრო პოლიციის უფროსად დაინიშნა კახა ჩიხრაძე, რომელიც თავის დროზე პოლიციიდან იქნა გაგდებული. ალასანიამ კი თანამდებობაზე დანიშნა. მინდა მივმართო თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, რატომ ხდება, რომ დღეს არაპროფესიონალებით აავსეთ ჯარი, ხოლო გამოცდილი, ღირსეული სამხედრო მოსამსახურეები ისევ გარეთ არიან? არაპროფესიონალები, პოლიციიდან გაგდებული, უღირსი ადამიანები კი კვლავ სამსახურში დააბრუნეთ, თანაც მაღალ თანამდებობებზე. რა ნიშნით შეარჩიეთ ისინი? მხოლოდ იმიტომ ხომ არა, რომ საარჩევნო შტაბებში თქვენი მხარდამჭერები იყვნენ? ბატონო ირაკლი, ასე სამართლიანობას ვერ აღადგენთ.

# მამუკა გიორგაძე: „მავნე კოაბიტაცია უნდა დასრულდეს!“

თამარ ნინიძე

**ეროვნულმა ძალებმა საპრეზიდენტო კანდიდატად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თემურ მჟავია წარადგინეს. ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე ესაუბრა.**




***—ბატონო მამუკა, რითი ხელმძღვანელობდით, როცა თემურ მჟავია წარადგინეთ თქვენი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად?***

— როცა საქმე გვაქვს ტერიტორიებოკუპირებულ ქვეყანასთან, საპრეზიდენტო არჩევნებს ეს უფრო ამძაფრებს. როცა სახელმწიფო ისე ცხოვრობს, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდება, ისე ცხოვრობს, როცა 20% ოკუპირებულია, მოსახლეობა კი ოკუპანტთა უღლის ქვეშ არის, სახელმწიფოში ამის გაცნობიერება არ ხდება, ჩვენი გმირი წინაპრების საფლავების დაცვაც კი არ შეგვიძლია, იმ სახელმწიფოს პერსპექტივა არ გააჩნია. საუბარია არა მარტო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, არამედ იმაზეც, შედგება თუ არა ქართული სახელმწიფო. არც ერთი საერთაშორისო მაღალი ტრიბუნიდან არ ისმის საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ფუნქციის შესახებ საუბარი. საუბარია სოციალურ საკითხებზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაწყვეტია ან აღმასრულებელი ხელისუფლების, არ არის პრეზიდენტის გადასაწყვეტი საკითხები. როცა ისტორიულ საკითხებზე არ ვსაუბრობთ, ერთი მხრივ, ქართული ნების პარალიზებასთან გვაქვს საქმე, მეორე მხრივ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაქვეითების მცდელობა მიდის. ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი არ მიმდინარეობს ქვეყანაში. მიდის ჭიდილი, ვინ გავა პირველ, მეორე ან მესამე ადგილებზე, არ მიდის მსჯელობა იმაზე, რა უნდა დაედოს საფუძვლად ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას. არჩევნები არის ხალხის შეთანხმება, ხუთი წლის ვადით როგორი პრეზიდენტი გვინდა ჩვენ ავირჩიოთ იმ უფლება-მოვალეობების ფარგლებში, რაც პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს. სახალხო პარტიის სურვილი განპირობებულია იმით, რომ ამის შესახებ ვუთხრათ როგორც ქართველ საზოგადოებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას, რომელიც დაინტერესდება ამ არჩევნებით, მათ გასაგონად, ასევე ოკუპანტების გასაგონად საჭიროა განვუცხადოთ ყველას, რომ საქართველო არის ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომ გამოყოფილია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ადგილი და ფუნქცია, ასევე რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, საქართველოს აქვს ორი ამოცანა – ტერიტორიების დაბრუნება და აფხაზი და ოსი ხალხების გულების დაბრუნება, მაგრამ ეს ორი ამოცანა მიბმული არ არის ერთმანეთზე, რადგან ერთის გადაწყვეტა არ ნიშნავს მეორის ავტომატურად გადაწყვეტას. დღეს ვსაუბრობ მხოლოდ იმაზე, რომ დავიბრუნოთ აფხაზთა გულები, ტერიტორია არ უნდა დავიბრუნოთ? ეს ტერიტორია ქართველთა ოფლითა და სისხლით მუდმივად იყო საქართველოს შემადგენლობაში. მსოფლიოს უნდა ვუთხრათ, რომ არ შეიძლება ე.წ. სამხრეთი ოსეთის შექმნა ცხინვალის ტერიტორიაზე. ეს იყო რუსი ბოლშევიკების ტოპონიმიც და ადმინისტრაციული ერთეულიც. იქაც ერთი წამით არ უარსებია საოკუპაციო ჯარების გარეშე ამ ავტონომიას. უნდა ვუთხრათ მთელ მსოფლიოს, რომ ერთადერთი ადგილობრივი მკვიდრი არის აფხაზი ხალხი, ეროვნული უმცირესობა, დანარჩენი კი არის დიასპორა, რომ მხოლოდ ქართველებს შეგვიძლია ამ ერების თვითმყოფადობის შენარჩუნება. დაუშვებელია კონფედერაცია, ნებაყოფლობით სამართლებრივად იოლად დაშლადი გაერთიანების შექმნა. ეს არის ისტორიული მასშტაბის სახელმწიფოებრივი ამოცანები. ბატონი თემურ მჟავია იყო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი, პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი დევნილობაში. მსგავსი ბიოგრაფიის ხალხი ვართ ჩვენ და ვამბობთ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ უდიდესი მნიშვნელობა მოუტანა ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვებაში, დღეს კვლავ ფორმაში ვართ და აქტიურად ვიბრძვით იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ და გავაძლიეროთ ქართული სახელმწიფო. ამ უდიდესი სამუშაოს სიმბოლოა ბატონი თემურ მჟავია, ადამიანი, რომელიც არის სოხუმის მკვიდრი.

***— მოგეხსენებათ ქარიზმა უნდა გააჩნდეს საპრეზიდენტო კანდიდატს და რეიტინგი ამომრჩეველში. თქვენ როგორი ფიქრობთ, აქვს თქვენს კანდიდატს ქარიზმა და რეიტინგი?***

— მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ნაწილს იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც მსოფლიო თანამეგობრობამ შექმნა. რა თქმა უნდა, სასურველია, ყველა კანდიდატს ჰქონდეს ქარიზმა, რეიტინგის მაღალი დონე, მაგრამ ყველა სახელმწიფოს პატიოსანი ადამიანი იტყვის, რომ უმთავრესი, რაც უნდა ჰქონდეს, ეს არის პოზიცია, პრინციპები, სახელმწიფობრივი ხედვები, ჩვენ ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას, მერე რა, რომ ვიღაცა ტიკინა ყოველდღე ტელევიზორში ჩანს, ყოველდღე ათას სისულელეს როშავს, იმიტომ რომ აქვს ყოველდღე ტელეეკრანზე გამოსვლის საშუალება, ამით უნდათ შექმნან იმიტაცია ბრძოლის, თითქოს საქართველოში მიმდინარეობს ჯანსაღი პროცესი. არა, ბატონო, იმისათვის, რომ პიროვნებას ჰქონდეს ქარიზმა და რეიტინგი, უნდა იყოს პიროვნება, ჰქონდეს პოზიცია და პასუხისმგებლობა ამ პოზიციაზე. პლასტილინებს თუ ტიკინებს ამათ გააჩნიათ ჩამოყალიბებული პოზიციები და პრინციპები? მერე რა, რომ ვიღაცამ შეიძლება ლამაზი ლაპარაკი იცის, ყვარყვარე ამბობს, მეც ვისწავლი შენსავით საუბარსო. ისწავლეს ამ ადამიანებმა ეკრანის წინ პოზირება, ყელის მოღერება, მთავარში ვერ შედგნენ ეს ადამიანები, პოზიციები და პასუხისმგებლობები ამ პრინციპებზე და ნება, რომ სახელმწიფო პრობლემები მოგვარდეს. აქ გვყავს ჩვენ ძლიერი კანდიდატი, ძლიერი პოზიციები და მიგვაჩნია, რომ როცა ეს უნარი იქნება წარმატებული, რომ პიროვნებას პატივი ვცეთ მისი პრინციპულობის გამო, მაშინ შედგება ქართული სახელმწიფო და ჯანსაღი კონკურენტული გარემო. მერე შეგვიძლია ვიზრუნოთ ამა თუ იმ ადამიანის რეიტინგზე და ცნობადობაზე.

***— შემაშფოთებელი იყო საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტები საზოგადოებაში, რისი მომსწრენიც ვიყავით გასულ კვირას. როგორ ფიქრობთ, მუსლიმანურ მოსახლეობას ვინმე ავიწროებს?***

— ჩვენ საქართველოში ამ ადამიანებს ვუწოდებთ მაჰმადიანებს. ეს იყო დამკვიდრებული ტერმინი და ახლა რატომღაც სულ სხვა ტერმინებზე გადავდივართ. ეს იყო პროვოკაცია იმისათვის, რომ მომხდარიყო რელიგიურ თემაზე დაპირისპირება კიდევ ერთხელ მომხდარიყო ამ თემის აქტუალიზაცია, რომ საქართველო კიდევ ერთხელ წარმოჩენილიყო, როგორც არატოლერანტული ქვეყანა, აქ საბაბია მთავარი, რა საბაბით მოხსნი მინარეთს. როცა საბაჟოზე შემოტანილია არმატურა უნდა დავთვალოთო და ამ საბაბით ხსნი მინარეთს, ამ ადამიანების აბუჩად აგდებსა ეს, ნებისმიერი ქართველის მოვალეობაა ამ დაჩაგრულ ადამიანებს დაუდგეს გვერდით, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა, მე სოლიდარობას ვუცხადებ, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველ მაჰმადიანებს, რომლებმაც სახელმწიფოს მხრიდან მიიღეს ეს შეურაცხყოფა. დააკვირდით განვითარებულ მოვლენებს. გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები და აცხადებენ, რომ მინარეთი იყო უკანონოდ აგებული, თუ ეს ასე იყო, მაშინ რატომ მოხსნა სახელმწიფომ ის არმატურის დათვლის საბაბით? ეს ადამიანები პროტესტის გამოსახატავად მიდიან ბათუმში და არა თბილისში, გვესმის სიტყვები დანარჩენ საქართველოში არ გვაქცევენ ყურადღებას და ისევ ჩვენი მხარე ბათუმია და იქ უნდა დავიცვათ ჩვენი სიმართლე, ეს არის პრაქტიკული სეპარატიზმის ხელშეწყობა. ამას ემატება ასევე ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლო განცხადება აჭარის ხელისუფლება ეცდება შუამავლობას ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადიგენის მოსახლეობას შორის, რატომ ერევა ბათუმის ხელისუფლება ამაში, ეს არის კიდევ ერთი მოწოდება სეპარატიზმისკენ. მეორე მესამე დღეს ხდება მეჩეთის ტერიტორიის შემოვლება ღობით, ხომ არ არის ეს იმ ვალდებულების ნაწილი, რომელიც თურქეთის წინაშე აიღო საქართველოს ხელისუფლებამ, მეჩეთის აშენებაზე, ეს ხდება 26 აგვისტოს, როცა რუსეთმა ცნო საქართველოს განუყოფელი ნაწილების დამოუკიდებლობა. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. საეჭვოა საქართველოსადმი ერთგულების საკითხი იმ ადამიანებისა, რომლებიც დღეს ხელისუფლების სათავეში არიან. მარტივად გათამაშებული პროვოკაციით გვაკეთებინებენ იმას, რაც მათ უნდათ და უკვე მერამდენედ. ეს ისევ აჩვენებს იმას, რომ ისეთივე მონები ვართ, როგორებიც ვიყავით საბჭოთა სისტემის დროს.

***— როგორც ჩანს „ქართული ოცნების“ დაკვეთით იყო ის სოციოლოგიური კვლევები, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა და რომელშიც დავით ბაქრაძე მარგველაშვილის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს. რამდენად რეალურია ეს კვლევები?***

— საქართველოში არ არის დამკვიდრებული ღრმა პოლიტიკური საფუძვლები, ეს გამოკითხვები სურვილების გამოხატვაა, როგორც უნდა დაინახოს ეს სურვილები დამკვეთმა. რომ პირველი უალტერნატივოა მარგველაშვილი, ჩემი საყვარელი პლასტილინი, მეორეზე კი ის, ვინც ჭკვიანად მოიქცევა, ბაქრაძე და ბურჯანაძე, რომლებსაც ორივეს ხელშეწყობა აქვთ მოქმედი ხელისუფლებისგან. შედარებით ლოიალური ოპონენტია ბაქრაძე და რადიკალური კი – ბურჯანაძე. სინამდვილეში ორივეს შეუძლია, წაიღოს ივანიშვილის რეალურად მოწინააღმდეგეთა ხმები. ამ სპექტაკლში თავის როლს ასრულებენ და ამით თავადაც კმაყოფილი არიან. ცოტათი წაიწკმუტუნებენ, ისინი, ვინც მესამე ადგილზე გავლენ, ბევრის უფლებას მათ არავინ მისცემს.

***— კუკავას აზრით, „ქართული ოცნება“ და ნაციონალები გარიგებული არიან და ახლა ნაციონალების მიერ მიტაცებული ბიზნესების გადანაწილება ხდება მათ შორის.***

— ამას თავად ხელისუფლება არ მალავს ობიექტურად დადასტურებული ფაქტია, ამბობენ, რომ მავნე კოჰაბიტაცია უნდა დამთავრდეს. ვინ უნდა დაამთავროს ეს კოჰაბიტაცია, ვის მოუწოდებენ ამას? როგორც სააკაშვილი თანამშრომლობდა შევარდნაძის ნარჩენებთან, ისე ითანამშრომლებს ივანიშვილი სააკაშვილის ნარჩენებთან. ესენი ერთი ძალა იყვნენ 2003 წელს. ამიტომაც უფრო ისინი ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და არა სახალხო პარტიასთან და თემურ მჟავიასთან.

***— ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის არის უცხოურ პრესაში გადაძახილ-გადმოძახილი, ივანიშვილი ემუქრება სააკაშვილს დაჭერით, სააკაშვილი კი ამბობს, რომ ივანიშვილი პუტინის დაკვეთას ასრულებს და მხოლოდ პუტინს უნდა ნახოს სააკაშვილი დაჭერილი. ამაზე რას იტყვით? სააკაშვილის დაკავებას მოახერხებენ?***

— ეს არის თანამშრომლობის ფორმა. სააკაშვილის პოლიტიკური ცხოვრება დასრულდება თუ მას ტელევიზორში არ გამოიყვან. ესენი ერთმანეთს აცოცხლებენ. ეს არის დახმარება და მეტი არაფერი. კოჰაბიტაცია ეს არის. ეჭვი მეპარება რომ სააკაშვილი დაიჭირონ. ოცნება კომფორტულად სარგებლობს ნაცმოძრაობის მემკვიდრეობით. სააკაშვილის დაჭერა კი ნიშნავს ამ კომფორტზე ხელს აღებას.

# ადგილობრივი თვითმმართველობები თავგადარჩენის რეჟიმში

როლანდ ხოჯანაშვილი

**ადგილობრივ თვითმმართველობებს მინიჭებული ძალაუფლების მიხედვით მუნიციპალიტეტებში უმაღლესი ორგანო ჰქვია, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტების შემდეგ მათი ფუნქცია მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ შერჩეულ გამგებლებს ხმას მისცემენ და მორჩილად მოისმინონ საბიუჯეტო ხარჯებზე ანგარიში, ან რაღაც წვრილმანი საკითხის გადასაწყვეტად სხდომაზე შეიკრიბონ, თუმცა მათი საქმიანობის შესახებ უმეტესად არავინ არაფერი იცის.**

თუნდაც განვიხილოთ აჭარის მაგალითი. აჭარის თვითმმართველობები ადგილობრივი ბიუჯეტი ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერით ივსება. ცენტრალური სოლიდური დაფინანსების გარდა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები თანხას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდანაც იღებენ, რადგან ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსულობები ძალიან მცირეა. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ადგილობრივი შემოსავალი კი ნახევარ მილიონ ლარამდეა. ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა იყოს დიდი ვნებათაღელვა მუნიციპალიტეტის წამყვან თანამდებობებზე? მხოლოდ იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლებს აქვთ შესანიშნავი სახელფასო სარგოები და ამას ემატება ისიც, რომ გამგებლებს საგაისოდ ექნებათ სათათბირო დანიშნულება მაინც საარჩევნო სიების შედგენის დროს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკრებულოების უმეტესობა გასულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ძირითადად წარმოდგენილი იყო ,,ნაციონალური მოძრაობის“ ან ამავე პოლიტიკური ძალის სატელიტი პარტიების წევრებით (,,ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტად ითვლებოდა ძირითადად თორთლაძის და თარგამაძის პოლიტიკური ძალები. სხვათაშორის, ზაზა გაბუნიამ ,,ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის იმიჯზე დამანგრევლად იმოქმედა მისმა სატელიტურმა იარლიყმა). ძირითადად კანონმდებლობის მცოდნე ადამიანები ერკვევიან თვითმმართველობის არსსა და დანიშნულებაში. თავად საკრებულოს წევრებმა იციან თავიანთი უფლებები და მოვალეობები, მაგრამ ხან პირში იგუბებენ წყალს, ხანაც სირაქლემას პოზაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ერთი აჭარელი ახალგაზრდა აცხადებს: ,,ქედის მუნიციპალიტეტში არსებული გამგებლის გათავისუფლების შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო გამგებლის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას ცდილობს, რასაც გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ეწინააღმდეგებიან და ცდილობენ საკრებულოს წევრებზე უკანონო ზემოქმედებას, რათა საკრებულომ აღნიშნული წესის გამოყენების გარეშე მოახდინოს ამ პოლიტიკური ჯგუფებისათვის სასურველი გამგებლობის კანდიდატის დანიშვნა... კარგი იქნება თუ ამ საკითხებით დაინტერედება მედია საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია ამ პრობლემის ფართოდ გააშუქება და ქედის მუნიცპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, რათა აჭარის რეგიონში სხვა დანარჩენი მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით ქედის მუნიციპალიტეტში მაინც შეირჩეს მუნიციპალიტეტის გამგებელი საკონკურსო პირობებით, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ხალხის უფლებას– გააჩნდეს რეალური თვითმართველობა... რაც ასევე გამორიცხავს ნაცნობ-მეგობრობით რომელიმე კანდიდატის დანიშვნას, რომელიც სრულიად შესაძლებელია იყოს არაკომპეტენტური!“

როგორც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით ირკვევა, თვითმმართველობებში საკონკურსო-საატესტაციო კომისიები ფიქტიურად არსებობს და პოლიტიკური ნიშნით საიმედო ადამიანები ინიშნებიან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. პოლიტიკური გარეგნული ელფერის შეცვლის გარდა საკრებულოს წევრები ცდილობენ ახალ ხელისუფლებას დაანახონ ერთგულებაც. დუმილის ბიჭებად წოდებული დეპუტატები მომავალი წლის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ემზადებიან. მათ სურთ საზოგადოების თვალში უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდნენ და ჭეშმარიტება, რომელიც სააკაშვილის მმართველობაში ჩანდა, ახლა რატომღაც ივანიშვილის ნალაპარაკევში აღმოჩნდა. წესით, ამას რენეგატიზმი ჰქვია, მაგრამ ვინ რას უწოდებს დეპუტატს, ამას აღარ დარდობს, ოღონდ სამი წლით ისევ მოერგოს სავარძელს, რომელიც თითქმის უსაქმოდ მყოფს ხელფასს და რიგ კომფორტს მოუტანს.

ახმეტაში თუ სხვა მუნიციპალიტეტებში თვითმმართველობებზე ზემოქმედებენ უშიშროების სამსახურები, გამგებლები და პარლამენტარებიო, მაგრამ ერთი რამ ძალიან მარტივად გადასაწყვეტია. თუ თვითმმართველ ორგანოში ( და არა მარტო იქ) პატიოსნად მსახურობს ადამიანი და მას არ აქვს ,,გრეხები“, რატომ უნდა ეშინოდეს ვინმესი? პოლიტიკურ მომავალს თუ უფრთხილდებიან, სავარაუდოდ, უნდა იცოდნენ, რომ მომავალ წელს თითქმის ვერ მოხვდებიან ყოფილი ,,ნაციონალები“ ,,ქართული ოცნების“ საარჩევო სიაში. ჯერ ისედაც აღელვებული ,,ქოცები“, რომლებმაც ვერ იშოვეს სამსახურები 1 ოქტომბრის შემდეგ, იმას ვერ აპატიებენ პარტიის ,,მამებს“, რომ თვითმმართველობებში ,,ნაც-ოცები“ აღმოჩნდნენ.

## დავით უსუფაშვილი: „მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი იქნება“




პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ გიორგი მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი იქნება, რასაც, პირველ რიგში, იმ ადამიანებისადმი მოპყრობით დაამტკიცებს, რომლებიც მას ხმას არ მისცემენ. ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა გუშინ საბურთალოს საარჩევნო შტაბის გახსნისას განაცხადა და როგორც ამ რაიონის მაჟორიტარმა, ბურთი და მოედანი გიორგი მარგველაშვილს დაუთმო.

,,ჰა, ბურთი და ჰა, საბურთალო!“ – განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა :,,უნდა გადავეწყოთ იმისთვის, რომ ახლა გამარჯვებისთვის ოპოზიციური მხრიდან კი არ ვიბრძვით, არამედ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას წარმოვადგენთ. აქ მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ არავის მივცეთ მცირე საბაბიც კი, რომ რაიმე სახელისუფლებო ბერკეტი და რესურსია ჩარეული ამ საქმეში.“.

მისივე თქმით, უნდა დასრულდეს ის ცუდი ტრადიცია , როცა პრეზიდენტს 100-პროცენტიანი მხარდაჭერით ირჩევდნენ და ორ თვეში გადასაყენებლად ჯოხით დასდევდნენ.

მედიანიუსი

# ახმეტელის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელს ითხოვენ

ეკა ირემაშვილი

ახმეტელის თეატრში დაძაბულობამ პიკს მიაღწია. როგორც თეატრის მსახიობების ნაწილი აცხადებს, ისინი სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნას სასწრაფო წესით ითხოვენ. მათი თქმით, თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელი 7 წელია არ ჰყოლია.

ახმეტელის თეატრის 15-მა მსახიობმა საპროტესტო აქცია მერიასთან გამართა. მათ საკონსულტაციო საბჭოს მიერ სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნა ითხოვეს. ცნობილია, რომ ახმეტელის სახელმწიფო თეატრი თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია.

სახელმწიფო პროფესიული თეატრების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, რომელიც 2013 წლის აპრილში ამოქმედდა, ყველა სახელმწიფო თეატრისთვის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა სავალდებულო გახდა. კულტურის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭომ სამხატვრო ხელმძღვანელები უკვე აირჩია. ხოლო მუნიციპალური დაქვემდებარების თეატრებისთვის საკონსულტაციო საბჭო თბილისის მერიაში უნდა შექმნილიყო.

ახმეტელის თეატრის მსახიობების ნაწილმა ისიც გააპროტესტა, რომ მერიას განაცხადების მიღება აქამდე არ დაუწყია. მსახიობები ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე რეჟისორისა და დრამატურგის, ანდრო ენუქიძის დანიშვნას ითხოვენ.

ახმეტელის თეატრის მსახიობების მოთხოვნაზე განმარტება თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ გააკეთა და განაცხადა, რომ 6-წევრიანი საკონსულტაციო საბჭო უკვე შეიქმნა, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელებს არა მარტო ახმეტელის თეატრისთვის, არამედ კიდევ ორი მუნიციპალური თეატრისთვის – პანტომიმისა და გლობუსის თეატრებისთვისაც შეარჩევს.

– ახმეტელის თეატრის მსახიობების აქცია საკონსულტაციო საბჭოზე ზეწოლაა. მათ აქვთ უფლება მერიის მიერ გამოცხადებულ სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში მათი კანდიდატი წარადგინონ. სარეკომენდაციო საბჭოს წევრები უკვე დანიშნულები არიან და ღია კონკურსი სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად დღეიდან გამოცხადდება. კონკურსის ვადებში ვერ ჩავეტიეთ. ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. საბჭოზე ხდება გარკვეული ზეწოლა, თუმცა ჩემი ძალიან პრინციპული მოთხოვნა, თხოვნა იქნება, რომ საბჭომ ობიექტურად და სამართლიანად შეარჩიოს სამხატვრო ხელმძვანელი და მათ არ გაითვალისწინონ არავის აზრი, მათ შორის, არც მერიის წარმომადგენლების. მონაწილეობის მსურველებს საბუთების წარდგენა ათი დღის ვადაში შეუძლიათ, დაახლოებით 11-12 სექტემბერს, საბჭოს სხდომა დაინიშნება და აირჩევს ახალ ხელმძღვანელს. არ უარვყოფ, რომ თამაზ გოლაძის წინააღმდეგი არ ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ გოლაძის მმართველობის დროს თეატრში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. თუმცა ჩემი აზრი საბჭოს გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს, რადგან საბჭოს წევრი არ ვარ. ახმეტელის თეატრს ახალი მმართველი 10 დღის ვადაში ეყოლება, მსახიობებს კი ხელშეკრულებები გაუგრძელდებათ და სამსახურისა და ანაზღაურების გარეშე, არცერთი მათგანი არ დარჩება. რაც შეეხება მსახიობების პროტესტს, ჩემთვის დასის ქმედება მიუღებელია, რადგან სამხატვრო ხელმძღვანელის მათ მიერ არჩევა შესაძლებელი რომ იყოს, კანონში ამის შესახებ ნათქვამი, აუცილებლად იქნებოდა, – განმარტა მამუკა ქაცარავამ.

ახმეტელის თეატრის მსახიობის მამუკა მაზავრიშვილის თქმით:

–ჩვენ ვითხოვთ სარეკომენდაციო საბჭოს სხდომის დანიშვნას. თეატრის შესახებ ახალი კანონის თანახმად, საბჭო ატარებს კონკურსს და აძლევს რეკომენდაციას ქალაქის მთავრობას დანიშნოს ესა თუ ის კანდიდატი. ყველა ვადა უკვე დარღვეულია. სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე ვართ. ახალმა ხელმძღვანელმა უნდა დაგვიდოს ხელშეკრულებები, შესაბამისად, ვართ ჰაერში. ვერ ვმუშაობთ და ალბათ, სეზონს ვერ გავხსნით. ჩვენ გვყავს ჩვენი კანდიდატი ანდრო ენუქიძე, თუმცა მთავრობა მხარს ყოფილ მმართველს თამაზ გოლაძეს უჭერს.

ახმეტელის თეატრის მსახიობების თქმით, მმართველის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი თამაზ გოლაძე პროფესიით რეჟისორი არ არის და ის ორი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრის ტექნიკურ სამსახურში, სცენის გამნათებლად მუშაობდა. მსახიობებს კი პროფესიონალი მმართველის დანიშვნის სურვილი აქვთ. ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია ამ საკითხს ჭიათურისა და მესხეთის სახელმწიფო თეატრის დასებშიც. ამ ორი თეატრის მსახიობებმა კულტურის სამინისტროსთან აქცია გამართეს და გურამ ოდიშარიასთან შეხვედრა ითხოვეს. მათი ქთმით, მიუღებელია ის კანდიდატები, რომლებიც თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების თანამდებობებს დაიკავებენ. აქციის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კულტურის სამინისტრომ მათი პოზიცია გაითვალისწინოს.




ხმაური გამოიწვია სამხატვრო ხელმძღვანელის ხელახლა დამტკიცებამ ბათუმის თეატრშიც. მსახიობთა ნაწილი მომხრეა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად გოგი თავაძე დარჩეს, ნაწილს კი ამ თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურის ხილვა სურს.

გაუგებრობაა ქუთაისის ოპერის თეატრშიც. მსახიობთა ნაწილი მხარს უჭერს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე რევაზ ჯავახიშვილის კანდიდატურას, მსახიობთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ჯავახიშვილი პროფესიონალი დირიჟორი არ არის და მას თეატრის გაძღოლა გაუჭირდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ მისი მმართველობის სფეროში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში „თეთრი ტალღა". კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრალური საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებს და თეატრალური საქმიანობით დაკავებული პირებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კანდიდატებს შეარჩევს და დასანიშნად მინისტრს წარუდგენს.

ასეა თუ ისე, „პროფესიული თეატრების შესახებ" კანონის თანახმად, თეატრში პირველი პირი სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება და საქართველოს მასშტაბით, 36 თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი ხელახლა დამტკიცდება. სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შემადგენლობა კი დამტკიცებულია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას №03/119 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული, სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: ვასილ კიკნაძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი, კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი); ნოდარ გურაბანიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); გიორგი ცქიტიშვილი (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი); ნიკოლოზ წულუკიძე (თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი); ლაშა ჩხარტიშვილი (თეატრმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი); ირინა ღოღობერიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის პრეზიდენტი); მარინე (მაკა) ვასაძე (თეატრმცოდნე, კავშირის „კულტურა" დამფუძნებელი).

როგორც კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული:

„სარეკომენდაციო საბჭოს მიზანია კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის წარდგენა და პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი".

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „პროფესიული თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად კანდიდატურების მიღება 12 ივლისს გამოაცხადა:

„სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შესაქმნელად

საბჭოს მიზნები და ამოცანები – კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის კანდიდატთა დასანიშნად წარდგენა; სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი; საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი; საბჭოს წევრი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება. საბჭო სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთაგან კონკურსის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს; საბჭო უფლებამოსილია, სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატები შეარჩიოს იმ თეატრებშიც, რომელთა სამხატვრო საბჭოები მინისტრს დასანიშნად წარუდგენენ სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატებს; კანდიდატთა გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით; საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 4 წევრი მაინც; ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი; საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი; საბჭოს არ ჰყავს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომებს წარმართავს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. სამინისტროში საბჭოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს; საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება. ცალკეული ორგანიზაცია უფლებამოსილია, სამინისტროს წარუდგინოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) კანდიდატი. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. საბჭოს შემადგენლობაში, კანდიდატთა საერთო სიიდან, შევა ის პირველი 7 (შვიდი) კანდიდატი, რომლებიც, წარდგენის შედეგად, მიიღებენ თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ხმების უმრავლესობას (ერთი წარდგინება – ერთი ხმა); ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტების მიზნით კანდიდატებს შეარჩევს მინისტრი; საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა შეივსება ხმების უმრავლესობის მქონე მომდევნო კანდიდატით/კანდიდატებით.

კანდიდატთა წარსადგენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციის წერილობითი წარდგინება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით; კანდიდატის სივი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით); კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი. კანდიდატურების წარსადგენად დოკუმენტაცია მიიღება 18 ივლისის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში" – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

კულტურის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი მისი მმართველობის სფეროში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში: სსიპ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი"; სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი; სსიპ ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემებისმოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე ქალის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# გარეთ ბეილი მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელია

ესპანეთის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა, მადრიდის „რეალმა“, სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: უელსელი გარემარბის გარეთ ბეილის სანაცვლოდ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ ზუსტად 100 მილიონი ევრო (84,5 მილიონი გირვანქა) გადაუხადა! აქამდე სარეკორდო გარიგებად პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ რეალში 94 მილიონ ევროდ გადასვლა ითვლებოდა. ეს 2009 წელს მოხდა.

გარეთ ბეილი:

– ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოცნება ასრულდა. როცა ისეთი დიდი კლუბი ინტერესდება შენით, როგორიც „რეალია“, ძნელია, ამაზე დღედაღამ არ იფიქრო. მადრიდში გადმოსვლით ძალიან ბედნიერი ვარ და მჯერა, რომ აქ კარიერის საუკეთესო წლებს გავატარებ.

ბეილმა „სამეფო კლუბთან“ 6-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების დეტალები ამ დროისთვის არ გახმაურებულა.

2012-2013 წლების სეზონი უელსელისთვის წარმატებული გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონურ კლუბთან ერთად ტიტული ვერ მოიპოვა, სეზონი სამი შთამბეჭდავი აღიარებით დაასრულა: ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ და საფეხბურთო ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ კი, პარალელურად, სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ტიტულითაც დააჯილდოვა. პრემიერლიგის 33 ტურში ბეილმა კი 21 გოლი გაიტანა. ის ზედიზედ მესამედ დასახელდა ინგლისის პირველობის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში.

გარეთ ბეილი 2007 წლის 25 მაისს „საუთჰემპტონიდან“ „ტოტენჰემ ჰოთსფურში“ გადავიდა, სადაც ორი სეზონი გაატარა. მას შემდეგ უელსელმა „მამლების“ მაისურით 203 ოფიციალურ მატჩში 55 გოლი გაიტანა. 2010 და 2011 წლებში ბეილი უელსის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

2006 წლის 27 მაისს 16 წლის და 315 დღის ასაკში, ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ბეილმა პირველად ითამაშა უელსის ნაკრებში. ის უელსის პირველი გუნდის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა. სადღეისოდ მსოფლიოს უძვირფასესი მოთამაშის აქტივში ნაკრებში 41 მატჩში 11 გოლია.

# ბოლო რეპეტიცია




**ლიტვა – საქართველო 88:83**

(19:19, 24:12, 17:28, 17:18, 11:6)

**ლიტვა:** ფოციუსი (6ქ), კალნიეტისი (2ქ,8პ), დ.ლავრინოვიჩი (5ქ), მაჩულისი (6ქ), დელინიკაიტისი, სეიბუტისი (15ქ), კლეიზა (18ქ), კ.ლავრინოვიჩი (5ქ), იავტოკასი (2ქ), ვალანჩუნასი (10ქ,10მ), კუზმინსკასი (11ქ), მოტეიუნასი (8ქ)

**საქართველო:** სანიკიძე (28ქ,9მ), შერმადინი (21ქ,14მ), მარკოიშვილი (18ქ), ცინცაძე (7ქ), ჰიკმენი (6ქ), ცქიტიშვილი (3ქ) ფაცაცია, ფხაკაძე, ბურჯანაძე, ლეჟავა, სანაძე, მეტრეველი

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ციკლის ბოლო საკონტროლო მატჩი კაუნასში, ლიტვის ეროვნულ გუნდთან გამართა. კონტინენტის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებთან მატჩის ძირითადი დრო ქართველებმა ფრედ – 77:77 დაასრულეს და მხოლოდ დამატებით დროში – 83:88 დამარცხდნენ.

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერის, ლინას კლეიზას მიჯრით ჩაგდებული 8 ქულის წყალობით მასპინძლები ოვერტაიმის დასრულებამდე 1,5 წუთით ადრე 86:79 დაწინაურდნენ და თითქოს გამარჯვებაც გაინაღდეს, თუმცა იგორ კოკოშკოვის გუნდს კიდევ ერთხელ გათანაბრების შანსი გაუჩნდა. რიკი ჰიკმანმა, რომელმაც ძირითადი დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე 2 საჯარიმო ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, ექსტრახუთწუთეულის დასრულებამდე 4 წამით ადრეც გაუჩნდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, იუბილარი ჰიკმანის სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა და ქართველების წაგება გარდაუვალი გახდა.

ლიტვას 3 ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომლებიც ნბა-შიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ – იონას ვალანჩუნასი, ლინას კლეიზა და დონატას მოტეიუნასი. დანარჩენები ევროპაში ითვლებიან ექსტრაკლასის კალათბურთელებად და ეს ნაკრები ევრობასკეტის წინ ბოლო საკონტროლო მატჩს მშობლიურ „კაუნო არენაზე“ ატარებდა. სწორედ ამ შეხვედრაში იყოჩაღეს ქართველებმა და თითქმის უიმედო მატჩი (მესამე მეოთხედში 16 ქულით, 36:51 ვაგებდით) კინაღამ მოიგეს.

საქართველოს ნაკრებმა თამაში კარგად დაიწყო. მატჩის პირველი ბურთი ქართველებმა შესანიშნავი კომბინაციით ჩააგდეს. შერმადინმა გამოზომილი პასით ცინცაძე ფართან მარტო დატოვა. ქართველების დაწინაურებას ლიტველების ზედიზედ ჩაგდებული 7 ქულა მოჰყვა. იონას ვალანჩუნასმა სამწამიანში გაილაღა, თუმცა იგორ კოკოშკოვის გუნდმა მალევე მოახერხა დაწინაურება – ვიქტორ სანიკიძემ ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო, რასაც ორიანიც მოაყოლა და საქართველო 13:9 გალიდერდა.

ლიტველებმა წუთშესვენება აიღეს და ტაქტიკა შეცვალეს. მასპინძლებს შორი სროლები არ წაუვიდათ – მათმა სნაიპერმა ლინას კლეიზამ რამდენჯერმე ააცილა, თუმცა გარღვევებით კუზმინსკასი გამოირჩა, ვალანჩუნასი კი პერიოდულად ფარქვეშ გაიბრწყინებდა ხოლმე. მასპინძლებმა მაინც მოახერხეს პირველი მეოთხედის არწაგება. ბოლო წამებზე მითვლილ ორქულიანს პლუს ჯარიმით პირველ შესვენებაზე ლიტველებმა ფრე დააფიქსირეს – 19:19.

მეორე პერიოდში მასპინძლებმა მოახერხეს საკუთარი თამაშის პოვნა. შორი სროლებიც წაუვიდათ და საჯარიმოშიც უხშირეს შესვლა-ჩაგდებას. რამდენიმე წუთში ლიტველები უკვე 29:21 იგებდნენ, თუმცა გიორგი შერმადინის მოედანზე დაბრუნების შემდეგ ქართველებმა შედეგიანობას უმატეს და მასპინძლებს 28:31 მიუახლოვდნენ. შემდეგ კი „ტორონტო რეპტორზის“ ცენტრის – იონას ვალანჩუნასის დრო დადგა, რომელიც დაცვაშიც შეუდარებელი იყო და შეტევაში ხომ შემჩერებელი ვერ გამოუჩნდა. მისი შედეგიანობით ლიტველებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთები შედეგიანად ჩაატარეს და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მესამე პერიოდის დასკვნითი 5-წუთეული ქართველებისთვის გმირული აღმოჩნდა. ჩინებული კომბინაციებით, გააზრებული შეტევითა და მწყობრი დაცვით იგორ კოკოშკოვის გუნდმა 5-წუთეული 22:6 მოუგო ლიტვას და მესამე მეოთხედის ბოლოს ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა – 59:60. გადამწყვეტი პერიოდი სულაც ვერ გამოდგა გადამწყვეტი, რადგან შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დიდებულად გაისარჯნენ საქართველოს ნაკრების ლიდერები – გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი და, რა თქმა უნდა, ვიქტორ სანიკიძე, რომელიც საბოლოოდ 28 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. რიკი ჰიკმანს შეეძლო, სულაც ძირითად დროში მოეგებინებინა ქართველებისთვის, თუმცა მისი გარღვევა, რომელიც ლიტველებმა ჯარიმით შეაჩერეს, ბურთის ჩაგდებით არ დასრულდა, თორემ ნატურალიზებული ამერიკელი პლუს ერთ საჯარიმოსაც ისროდა, მაგრამ... მის ჯარიმებს ზემოთ ნახსენები ექსტრახუთწუთეული მოჰყვა, სადაც მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს.

საქართველოს ნაკრები გუშინ დილას ლიტვის ნაკრებთან ერთად სლოვენიაში ჩარტერული რეისით გაემგზავრება, სადაც ხვალ ევროპის ჩემპიონატი იწყება.

**კოტე ტულუში:**

– მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვართ. ჩვენ ვეთამაშებოდით ნაკრებს, რომელიც ყველა სათამაშო რგოლში ძლიერია და მომავალ ევროპის ჩემპიონატზე მედლის მოგების სამართლიანი ამბიცია გააჩნია. ლიტვა საკუთარი ქომაგების წინაშე თამაშობდა და როგორც ჩვენთვის, მათთვისაც ეს ბოლო მოსამზადებელი მატჩი იყო და მოგება, ცხადია, ძალიან უნდოდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტველებმა მიმდინარე მოსამზადებელ ციკლში მხოლოდ 1 მატჩი წააგეს, ისიც ბერძნებთან.

***– იყო ეპიზოდი, როცა 16 ქულით ვაგებდით, თუმცა გათანაბრება მოახერხეთ. რისი დამსახურება იყო ეს?***

– კონკრეტულად დაცვის ან შეტევის, ან რომელიმე მოთამაშის დამსახურება იყოო, ვერ ვიტყვი. სხვათა შორის, სერბეთთან მატჩი გაიხსენეთ, როცა სწორედ 16-18 ქულით ვაგებდით და ჩამორჩენა ხომ გავაბათილეთ, საბოლოოდ მოვიგეთ კიდეც ის მატჩი. ახლაც თითქმის ასე მოხდა. მეორე ტაიმში ჩვენი გუნდი ბევრად სჯობდა ლიტვას და ბოლოს რომ ვერ მოვიგეთ, შემთხვევითობის, გამართლების საქმე იყო. შეიძლებოდა, ყველაფერი პირიქით დასრულებულიყო. ამას არც ვაქცევთ ყურადღებას, თამაში ოვერტაიმში გადავიყვანეთ, თუმცა საბოლოოდ დავმარცხდით. სასიამოვნოა, როცა გუნდი ასეთი ბრძოლისუნარიანია და, მიუხედავად სოლიდური ჩამორჩენისა, არ ტყდება.

***– სათადარიგოებზე რას იტყვით?***

– მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მატჩში ძირითადად სასტარტო ხუთეულის წევრები დაიტვირთნენ, ეს არ ნიშნავს, რომ სათადარიგოების იმედი არ გვაქვს. მათ სლოვენიაშიც მოუწევთ თამაში და, იმედი მაქვს, იქ ისეთი სიტუაცია არ შეგვექმნება, რომ დიდი ჩამორჩენის გაბათილება მოგვიხდეს. გუნდის ყველა წევრი მზადაა, ნაკრებს წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.

***– ლიტვასთან მატჩი, რომელიც ბოლო საკონტროლო შეხვედრა იყო ევროპის ჩემპიონატამდე, საქართველოს ნაკრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. ნიშნავს ეს, რომ ნაკრები ოპტიმალურ ფორმაშია?***

– ნაკრები კარგ ფორმაშია, თუმცა მჯერა, რომ სლოვენიაში უფრო გულიანად და შემართებით ითამაშებენ. დღეს ძირითადის წევრები შედარებით მეტად დაიტვირთნენ და, შესაბამისად, გადაიღალნენ. 3 დღეში თამაში გვაქვს და ძალებს აღიდგენენ. ევროპის ჩემპიონატზე ძალიან რთული გრაფიკია, ყოველდღეა თითქმის თამაში, მხოლოდ 1 დღე ვისვენებთ და მთავარია, ფორმა შეინარჩუნონ, ენერგია ოპტიმალურად გადაანაწილონ.

***– ბოლოს რიკი ჰიკმანზე გკითხავთ, რომელმაც დღეს ორჯერ აიღო საკუთარ თავზე თამაში გადამწყვეტ მომენტში. ასე იყო ისრაელში მოგებულ მატჩშიც...***

– ჰიკმანი დიდებული შემსრულებელია. სხვათა შორის, დღეს მას დაბადების დღე აქვს, რასაც თქვენი საიტითაც ვულოცავ. ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წამით ადრე მან 2 საჯარიმო ჩააგდო, თუმცა ოვერტაიმის ბოლო წამებზე გამთანაბრებელი 3-ქულიანი ვერ ჩააგდო. თამაშის შემდეგ თქვა, არა უშავს, სლოვენიაში აუცილებლად ჩავაგდებო.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ბრომვიჩი-სუონსი ........ 0:2
ლივერპული-მანჩესტერი ........ 1:0
არსენალი-ტოტენჰემი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| 2.ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 3.სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| 4.არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 5.სტოკი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 6.ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| 7.მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| 8.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| 9.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 10.საუთჰემპტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 11.კარდიფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 12.ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| 13.ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 14.კრისტალ პალასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 15.ევერტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| 16.სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 17.ფულემი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 18.ჰალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| 20.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ბილბაო ........ 3:1
ესპანიოლი-ბეტისი ........ 0:0
სოსიედადი-ატლეტიკო ........ 1:2
ვალენსია-ბარსელონა ........ 2:3
სევილია-მალაგა ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| 2.ატლეტიკო | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| 3.ვილიარეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| 4.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| 5.ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 6.ესპანიოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| 7.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 8.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| 9.გრანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 10.ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:8 | 4 |
| 11.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 12.ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| 13.რაიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 14.ალმერია | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | 2 |
| 15.სევილია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| 16.ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 17.ბეტისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 18.მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 19.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 20.ოსასუნა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-მალიორკა ........ 3:0
საბადელი-დეპორტივო ........ 0:3
კორდობა-ალავესი ........ 1:1
ლუგო-ჰაენი ........ 4:2
მირანდესი-ტენერიფე ........ 2:0
მურსია-პონფერადინა ........ 2:2
ალკორკონი-უელვა ........ 3:0

### იტალია. სერია ა

რომა-ვერონა ........ 3:0
ატალანტა-ტორინო ........ 2:0
ბოლონია-სამპდორია ........ 2:2
ჯენოა-ფიორენტინა ........ 2:5
კატანია-ინტერი ........ 0:3
მილანი-კალიარი ........ 3:1
სასუოლო-ლივორნო ........ 1:4
უდინეზე-პარმა ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 2.ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 3.რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 4.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 5.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 6.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 7.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 8.ლივორნო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 9.ატალანტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 10.ტორინო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 11.კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| 12.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| 13.ვერონა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| 14.სამპდორია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 15.კიევო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 16.პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 17.ბოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 18.კატანია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| 19.ჯენოა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| 20.სასუოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი ........ 6:2
აინტრახტი-დორტმუნდი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| 2.ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| 3.ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 4.ჰანოვერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 5.მაინცი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:7 | 9 |
| 6.ჰერტა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| 7.გლადბახი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:8 | 6 |
| 8.ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 9.ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| 10.აუგსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 12:12 | 5 |
| 12.ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| 13.შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| 14.შტუტგარტი | 4 | 1 | 0 | 3 | 9:8 | 3 |
| 15.აინტრახტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| 16.ფრაიბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| 17.ნიურნბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-ინგოლშტადი ........ 1:1
კარლსრუე-ალენი ........ 1:1
კიოლნი-აუე ........ 4:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

სენტ ეტიენი-ბორდო ........ 2:1
ნიცა-მონპელიე ........ 2:2
მარსელი-მონაკო ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| 2.მარსელი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| 3.სტ.ეტიენი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| 4.პსჟ | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 5.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 6.რეიმსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| 7.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 8.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| 9.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 10.ლორიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| 11.მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | 5 |
| 12.ნიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:7 | 5 |
| 13.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| 14.ბორდო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 15.ევიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 16.ვალანსიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| 17.აიაჩო | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| 18.გენგამი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| 19.სოშო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| 20.ტულუზა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

გრონინგენი-აიაქსი ........ 1:1
ალკმაარი-ვიტესი ........ 1:1
ზვოლე-უტრეხტი ........ 1:1
ფეიენოორდი-როდა ........ 4:0

### პორტუგალია. ა ლიგა

აროკა-რიუ ავე ........ 1:0
ბელენენსეში-ნასიონალი ........ 2:3
მარიტიმუ-ოლჰანენსე ........ 1:1
ფერეირა-პორტუ ........ 0:1
ჟილ ვისენტე-ბრაგა ........ 1:0

### რუსეთი-პრემიერლიგა

ზენიტი-ლოკომოტივი ........ 2:1
ურალი-რუბინი ........ 0:3
სპარტაკი-ტომი ........ 2:1
კრ.სოვეტოვი-ყუბანი ........ 0:0
დინამო-როსტოვი ........ 1:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-ლუცერნი ........ 4:1
თუნი-ლოზანა ........ 4:1
ბაზელი-იანგ ბოიზი ........ 2:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-რაპიდი ........ 1:1

### ბელგია. პროლიგა

სტანდარდი-კორტრაიკი ........ 2:0
ვარეგემი-ანდერლეხტი ........ 4:3
ბევერენი-ბრიუგე ........ 1:2
შარლერუა-გენკი ........ 1:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-გაზიანთები ........ 2:0
ქარაბუქი-გენჩლერი ........ 1:0
რიზე-ქაისერი ........ 2:1
აკხისარი-ტრაბზონი ........ 3:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-აპოლონი ........ 2:0
პანთრათიკოსი-პანაითოლიკოსი .. 2:1
პაოკი-პანიონიოსი ........ 4:1
ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი ........ 0:5

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბოჰემიანსი 1905-ზნოიმო ........ 2:0
იიჰლავა-სლავია ........ 2:1
ბოლესლავი-ტეპლიცე ........ 1:0
პლზენი-სიგმა ........ 3:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-შლიონსკი ........ 1:1
ლეხი-ზავიშა ........ 3:2

### უკრაინა. პრემიერლიგა

ზარია-არსენალი ........ 4:0
ვოლინი-მეტალურგი(დ) ........ 1:0
ჩერნომორეცი-ილიჩევეცი ........ 1:0
დინამო-დნიპრო ........ 1:1

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ვესტშელანი ........ 1:2
ესბიერგი-მიდტიულანდი ........ 1:1
ვიბორგი-კოპენჰაგენი ........ 1:4
ოლბორგი-ბრონდბიუ ........ 2:1

### შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ატვიდაბერგი ........ 3:0
ნორჩიოპინგი-სირიანსკა ........ 6:1
ესტერი-მალმიო ........ 1:1
კალმარი-ჰალმშტადი ........ 1:0
მიალბი-ჰაკენი ........ 1:1
დიურგარდენი-ელფსბორგი ........ 1:2

### ნორვეგია. ტიპელიგა

სტარტი-ულფი ........ 7:0
ვიკინგი-სტრომგოდსეტი ........ 1:0
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი ........ 2:1
ტრომსო-ჰონეფოსი ........ 1:1
მიოლდე-ვალერენგა ........ 4:0

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვპს-როვანიემი ........ 1:1
მარიეჰამნი-ინტერი ........ 1:1

*ინტერელთა გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

მიუპა-ჰონკა ........ 0:0
იარო-ჰიკი ........ 1:5

### აშშ. მლს

ჩიკაგო-ჰიუსტონი ........ 1:1
ვანკუვერი-ჩივასი ........ 2:2

### ბრაზილია. სერია ა

ბოტაფოგო-სან პაულუ ........ 0:0
ვიტორია-კრისიუმა ........ 0:1
კურიტიბა-ინტერნასიონალი ........ 0:0
კრუზეირო-ვასკუ ........ 5:3

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ხიმნასია-გოდოი ........ 0:0
კოლონი-როსარიო ........ 2:1
ბოკა-ველეჟი ........ 2:1
სან ლორენცო-რივერ პლეიტი ........ 1:0

## ჩოგბურთი

### ამერიკის ღია ჩემპიონატი

**კაცები**

გრანოლერსი-სმიჩეკი 6:4;4:6;0:6;6:3;7:5
ჰაასი-იუჟნი ........ 3:6;2:6;6:2;3:6
ჯოკოვიჩი-სოზა ........ 6:0;6:2;6:2

**ქალები**

უილიამსი!ს.-სტივენსი ........ 6:4;6:1
რადვანსკა!ა.-მაკაროვა ........ 4:6;4:6
ლი-იანკოვიჩი ........ 6:3;6:0

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

2013, 3 სექტემბერი, №208

# ახმეტელის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელს ითხოვენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფო დრამატული თეატრი; სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

„პროფესიული სახელმწიფო თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.

სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე; განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით; თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით; საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით; უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით; უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას; ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს; თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს; შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან)."

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრალური და მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს (ორგანიზაციებს), რომელთაც გააჩნიათ საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და თეატრალური, ან მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებული პირებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით.

ცალკეულ საინიციატივო ჯგუფს და თეატრალური, ან მუსიკალური საქმიანობით დაკავებული იურიდიული პირებიდან პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს აქვთ მხოლოდ თითო კანდიდატურის, ხოლო სხვა იურიდიულ პირებს ც არა უმეტეს სამი კანდიდატურის წარდგენის უფლება არა უმეტეს სამ სხვადასხვა თეატრში (ცალკეულ თეატრში მხოლოდ ერთი კანდიდატურის).

ერთი და იგივე პირი შეიძლება, წარდგენილი იქნეს რამდენიმე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატად.

კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: წარდგინება მინისტრის სახელზე; კანდიდატის მიერ შედგენილი კონკრეტული თეატრის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა (2-5 გვერდზე); კანდიდატის ვრცელი შემოქმედებითი სივი თუ კანდიდატი პროფესიით რეჟისორი ან დირიჟორია, ბოლო პერიოდში განხორციელებული დადგმების ჩამონათვალი, ამონარიდები რეცენზიებიდან;

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი; კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

კანდიდატის ფოტოსურათი. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად და, ასევე, ელექტრონულად.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატებს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება.

საბჭოს წევრებს არა აქვთ კანდიდატთა წარდგენის და საინიციატივო ჯგუფებში მონაწილეობის უფლება.

ოპერისა და ბალეტის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა კანდიდატურების შერჩევისას საბჭო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს მუსიკალური ხელოვნების დარგში მინისტრის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებით.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2013 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში", – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.


თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტთან იქმნება საჯარო სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი (როგორც თბილისის, ისე რაიონების) კურსები. კურსების ხანგრძლივობა 3 თვეა, მაგრამ ფიზიკა-მათემატიკაში შესაძლოა გახანგრძლივდეს მსმენელთა მოთხოვნით.

კურსების გავლის შემდეგ მასწავლებლები გარანტირებული იქნებიან, წარმატებით გადალახონ სასერტიფიკაციო გამოცდები.

პირველ რიგში იხსნება ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომელთა გავლა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე. სწავლება ჩატარდება პედაგოგისათვის მოსახერხებელ დროს, სკოლაში სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, საღამოს საათებში. აღნიშნულ კურსებზე სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია. სწავლა დაიწყება ა.წ. 1 ნოემბრიდან.

**ამასთანავე, უნივერსიტეტში გრძელდება მობილობის წესით სტუდენტთა დამამთავრებელ კურსებზე მიღება, ხოლო ტურიზმის აკადემიაში – აბიტურიენტთა ჩარიცხვა.**

**ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, კოსტავას ქ.№47,**

**ტელ: 293-66-03; 293-54-30; 299-96-26; 299-07-24; 298-86-82;**

**მობ: 599-18-89-24.**

*რექტორატი*


# ჩიხურა გალიდერდა

**<u>სპარტაკი – ტორპედო 0:1</u>**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 ხიდეშელი (76)

**სპარტაკი:** ნადირაძე, მგელაძე, ქურდაძე, კილასონია, მეგრელიშვილი (ფანცხავა 81), ჩაფიძე (მაქაცარია 61), კვეკვესკირი, შონია (ნარიმანიძე 75), ბურძენაძე, თექთურმანიძე, მეტრეველი

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე (ფანცულაია 18), ცინცაძე, გიგაური, საბანაძე, კუხიანიძე (გოროზია 46), გ. ხიდეშელი, მთივლიშვილი, კაპანაძე, ზ.ჭელიძე (სანდოხაძე 74), უბილავა

მშვიდ და წყნარ ტემპში, მცირე რაოდენობის მაყურებლის წინაშე წარიმართა უმაღლესი ლიგის მორიგი ტურის მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სადაც ცხინვალის „სპარტაკმა" ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლა. მატჩიც ისეთივე საცქერი გამოვიდა, როგორსაც ცარიელი ტრიბუნები იმსახურებდა... ტემპი მთელი მატჩის განმავლობაში დაბალი იყო.

ქუთათურებმა მოწინააღმდეგე ტაქტიკურად დაჩაგრეს, თუმცა მათი გამარჯვების წინაპირობად ამ მიზეზის მოყვანა უხერხულია. აქვე ისიც აღსანიშნავია, მათ ეს მოგება ძვირად დაუჯდათ, რადგან ძირითადი ბირთვის 3 მოთამაშე დაუშავდათ.

ორივე მწვრთნელმა 4-5-1 ტაქტიკას მიმართა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაქტიკურად სარაგოსამ თავისი ვიზავი აშკარად დაჩაგრა. ცხინვალელთა მოქმედება ქაოტურს ჰგავდა, ხოლო სტუმრები ბურთის კონტროლსა და პოზიციურ შეტევებზე იყვნენ ორიენტირებულნი, ხოლო მას შემდეგ, რაც გოლი გაიტანეს, უფრო დაცვაში დაიწყეს ჩადგომა და კონტრიერიშებზე გადაერთვნენ.

მატჩის დებიუტში გამოსარჩევი იყო საბანაძის გარღვევა. მან ერთი მეტოქე იოლად ჩამოიცილა და დარტყმის ნაცვლად მეორის მოტყუებაზე გაიწია, მაგრამ მცველმა სიტუაცია განმუხტა. მალევე, მე-16 წუთზე ტორპედოელთა მეორე ნომერმა ვაჟა ტაბატაძემ ტრავმა მიიღო და გამოსაცვლელი შეიქნა. რამდენიმე წუთში უკვე კაპანაძე ურტყამდა საჯარიმოს გარედან, მაგრამ მეკარე ნადირაძემ არც მას და არც ჩამატებაზე მყოფ ფანცულაიას არ გაატანინა.

საპასუხოდ გატანის ძალიან კარგი შანსი მიეცა მასპინძელთა კაპიტან თეიმურაზ შონიას: მარჯვენა ფლანგზე მან იოლად ჩამოიცილა ხიდეშელი და მარცხენა ფეხით შორეულ მაღალ კუთხეში ურტყამდა, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

მატჩის განახლებიდან რამდენიმე წუთში, ახლო მანძილიდან მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მეტრეველმა თავით გატანა სცადა, თუმცა „ტორპედოს" კაპიტანი ქვილითაია ყოჩაღად დაუხვდა დარტყმას და ბურთი ნახტომში მოიგერია.

მეორე ტაიმიც იმავე სცენარით გაგრძელდა: ერთი გუნდი ბურთის ჩაგდებისთანავე შეტევას იწყებდა, მეორე კი ბურთის კონტროლს აქცევდა ყურადღებას. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მასპინძელთა კარისკენ სახიფათო საჯარიმო დაინიშნებოდა. გოროზიას ჩაგდებულ ბურთს ხიდეშელმა შეუცვალა მიმართულება და ბურთი ნადირაძის კარში აღმოჩნდა – 0:1.

**<u>დილა (გორი) – მეტალურგი (რუსთავი) 3:0</u>**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ბოლქვაძე (20), 2:0, 3:0 მოდებაძე (33, 73)

**დილა:** რევიშვილი, კობახიძე, კვახაძე, გიორგი გურული, ალადაშვილი, ღონღაძე, აბურჯანია (გაბარაევი 81), ბოლქვაძე (ახალკაცი 68), მაისურაძე, დოლიძე (პ.ხორგუაშვილი 69), მოდებაძე

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ორბელაძე, გავაშელიშვილი, მახვილაძე, სუხიაშვილი, რაზმაძე (დობროვოლსკი 46), გურეშიძე, ქავთარაძე (კაკუბავა 20), კირკიტაძე, გეწაძე (ტუღუში 67), ბერიაშვილი

**გაძევება:** გავაშელიშვილი (18)

გორელებმა ამ მატჩის წინ 3 ფეხბურთელი მოისაკლისეს – ილურიძე და გვალია ახალ კლუბებში გააგრძელებენ კარიერას, ხოლო გორელიშვილს საბუთები ჰქონდა წესრიგში მოსაყვანი და გუნდთან ერთად ვარჯიშს მალე შეუდგება. ამასთან, დისკვალიფიცირებული იყო დევდარიანი, რომელიც ტრიბუნებზე იჯდა.

მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს. თითქმის მთელი მატჩი რიცხობრივ უპირატესობაში გაატარეს და კარგადაც გამოიყენეს.

ჯერ დავით ბოლქვაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, რიკოშეტი იყო და მეკარე ბედიაშვილმა აღება ვერ მოახერხა.

შემდეგ მოდებაძის ჯერი დადგა, რომელმაც პირველად თემურ ღონღაძის პასი გამოიყენა, მეორედ კი დამატებაზე გაიტანა.

**<u>ჩიხურა – ზესტაფონი 1:0</u>**

**ქუთაისი.** ცენტრალური

1:0 დათუნაიშვილი (7)

**ჩიხურა:** თევდორაძე, ლ.ჭელიძე, ქიმაძე (ლომაშვილი 69), გაბედავა, წინამძღვრიშვილი, დათუნაიშვილი (ჯიღაური 59), ბეჭვაია, კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე (ჩიკვაიძე 81), რეხვიაშვილი

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, კანდელაკი, თედორე გრიგალაშვილი, შარიქაძე (ს.გურული 37), აჯურუ, სამუშია (კუტალია 45), ჭანტურიშვილი, ადამია (ს.ლომია 81), ქობალია

**გაძევება:** ჭანტურიშვილი (75)

ზემოიმერული დერბი ერთმა გოლმა გადაწყვიტა. დეკანოიძის პასის შემდეგ საჯარიმოში შეჭრილმა დათუნაიშვილმა ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა კარში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 4 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| 2.ვიტჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 3.დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4.ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| 5.სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 6.მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| 7.მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| 8.დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 9.ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 10.გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| 11.ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| 12.სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

ბომბარდირები: გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 3-3 ბურთი; ლაშა თოთაძე (სიონი), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი კორიფაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე (ორივე ტორპედო), ირაკლი მოდებაძე (დილა), გიორგი დათუნაიშვილი (ჩიხურა) – 2-2.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# „ოქროს ნიჟარა" ქართველმა კონკურსანტმა მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვე დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წელს საფესტივალო კონცერტებზე დასწრების შესაძლებლობა მიეცათ მზრუნველობამოკლებულ, მიუსაფარ, დევნილ და ობოლ ბავშვებს. კონცერტებზე დასწრების მსურველებისთვის დაწესდა სპეციალური ფასდაკლებები და შეთავაზებები – შეთავაზებაში შედიოდა 1 ბილეთი საერთაშორისო კონკურსზე „ოქროს ნიჟარა" 10 ლარის ნაცვლად 7 ლარად. ფესტივალი შედგებოდა ორი კონცერტისაგან, 1 ბილეთით მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა ორივე კონცერტს.

ფინალური კონცერტისთვის დაიგეგმა თბილისიდან 40-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჩაყვანა. მათი ტრანსპორტირება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო. კონკურსი აჭარის მთავრობის, ბათუმის მერიისა და ბათუმის პორტის მხარდაჭერით ჩატარდა.

წლევანდელ საკონკურსო საღამოებს 4 წამყვანი ჰყავდა, ისინი კონცერტებს უძღვებოდნენ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე. წამყვანის ამპლუაში თავისი ძალები პირველად მოსინჯა ლალი მოროშკინას ვაჟმა გიორგი ღოთვაძემ. მასთან ერთად კონკურსს ანასტასია ლებანიძე, როდიონ გრიბცოვი და რატი ჰაჯიმი უძღვებოდნენ.

იმისათვის, რომ კონკურსის მონაწილეებს ძალიან არ ენერვიულათ, საგანგებოდ მათთვის იმღერეს ანრი ჯოხაძემ, ბექა ბროლაძემ, ნინი წიკლაურმა და მარიამ ლიკლიკაძემ. სპეციალურად ფინალური კონცერტისთვის საქართველოში პროდიუსერთან ერთად ჩამოვიდა კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული, რუსეთის წარმომადგენელი საშა ლავერი. მან ქართველი კონკურსანტებისთვის ჯუბა ჯანდიერის უკვდავი სიმღერა „თეთრი გედი" შეასრულა.

როგორც კონკურსის დასასრულს მისი ორგანიზატორების მიერ ითქვა, წლევანდელი „ოქროს ნიჟარის" რამდენიმე გამარჯვებულისთვის სიმღერები დაიწერება. ყველა სიმღერას ახალგაზრდა მომღერლები „სტარ მედია პროდაქშენის" სტუდიაში ჩაწერენ. გარდა ამისა, კონკურსის რამდენიმე მონაწილე ლატვიასა და ყაზახეთში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებზე გაემგზავრება.

საბავშვო ფესტივალი „ოქროს ნიჟარა" საერთაშორისო საპროდიუსერო ცენტრის „სტარ მედია პროდაქშენის" ორგანიზებით უკვე მეორედ ჩატარდა. შარშან სადებიუტო ფესტივალს ანაკლიამ უმასპინძლა. ამჯერად ფესტივალმა ჩატარების ადგილი შეიცვალა და ბათუმში გადაბარგდა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორების აღნიშნავენ, ამ კონკურსის მიზანია ახალგაზრდა შემსრულებლებით პროდიუსერების დაინტერესება და მათთან სამომავლო თანამშრომლობის დამყარება.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართველი პრიმა-ბალერინა; 2. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 3. თეთრი ფერის მშრალი გერმანული სამარკო ღვინო; 4. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 5. ქალაქი სამეგრელოში; 8. ბალეტ „დონ-კიხოტის" მუსიკის ავტორი; 9. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 12. მდგომარეობა კრივში; 13. ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 16. მდინარე გაგრაში; 17. ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 19. მონასტერი სამაჩაბლოში; 20. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

**თარაზულად:** 6. მთიანეთი ავლანეთში; 7. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 8. საქარგავი ფერადი ძაფი; 10. სამხაზველო იარაღი; 11. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 14. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 15. თვალის ექიმი; 18. აქლემის ნაშიერი; 21. შავი ზღვის ზვიგენი; 22. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 23. მთიანეთი ევროპაში; 24. მსხვილი მემამულე ინდოეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პალაცია; 6. პაბლოლა; 8. ბალზამი; 10. კალეველა; 11. ალბომი; 13. კრატერი; 16. ვიქტორია; 18. არენა; 19. ანონა; 21. არაბია; 22. ატრიბუტი; 23. ბაობაბი.

**შვეულად:** 1. მაქსველი; 2. სცილა; 3. პანორამა; 4. ულუზი; 7. ემალი; 9. ომარი; 12. არაქნიდები; 14. არსება; 15. კანფეტი; 17. ურატები; 20. ერატო.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიამი; 2. ამბია; 3. მარაკა; 4. ონაგრი; 5. კათხა; 6. პაი; 7. ადა; 8. ქართუ; 9. ქვირითი; 10. ბაქანი; 11. „სატირიკონი"; 12. კატაკანა; 13. კორსიკა; 14. ტანგო; 15. იო; 16. ორდენი; 17. მირონ; 18. თვე; 19. კანოე; 20. კაზინო; 21. კვსი; 22. ალოა; 23. მერაბ; 24. ზანგი; 25. სან; 26. საზანი; 27. მერინოსი; 28. რეგრესი; 29. არსება; 30. ირმის.

**სურათებზე:** ედიტ გონსალესი; ჟულიო ხუზარი.

# სირიაზე იერიში შესაძლოა, აშშ-ის კონგრესის თანხმობის გარეშეც დაიწყოს



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სირიის პრობლემაზე დებატები 9 სექტემბერს დაიწყება, — ამის შესახებ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა, ჯონ ბონერმა განაცხადა. „ჩვენ ველოდებით, რომ წარმომადგენლობითი პალატა ამ საკითხს 9 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლის“,-აღნიშნა ბონერმა. მისივე თქმით, კონგრესმენები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ პრეზიდენტმა სირიაში საბრძოლო ქმედებების განხორციელებისთვის ნებართვა მათ სთხოვა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა სირიის საკითხის განხილვას პეტერბურგში, 4-5 სექტემბერს დაგეგმილ „დიდი ოცეულის“ სამიტის მონაწილეებთანაც გეგმავს.

ამასთან, ტელეკომპანია „ფოქს ნიუსი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსან წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციას ავრცელებს, რომ პრეზიდენტ ობამას სირიაზე იერიშის დაწყება იმ შემთხვევაშიც შეუძლია, თუკი კონგრესისგან ნებართვას ვერ მიიღებს. ამავე წყაროს ინფორმაციით, ბარაკ ობამამ სირიაზე სამხედრო იერიშის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, თანაშემწეებთან კონსულტაციების გერეშე მიიღო.

აშშ-მ ატომური „ნიმიცის“ კლასის ავიამზიდი წითელ ზღვაში გააგზავნა. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ავიამზიდის მიზანი სირიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში საჰაერო მხარდაჭერის უზრუნველყოფაა.

ავიამზიდის გარდა, სირიის მახლობლად აშშ-ს მეექვსე ფლოტია მობილიზებული, რომლებიც სარაკეტო თავდასხმისთვის ემზადებიან.

აშშ-ს მიერ რუსეთისთვის გადაცემული საბუთები, რომლებიც სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას შეეხება, მტკიცებულება არ არის, — ამის შესახებ დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

„გვაჩვენეს რაღაც გამოთვლები, რომლებიც არაფერ კონკრეტულს არ შეიცავს, არც გეოგრაფიულ კოორდინატებს, არც სახელებს და არც არავითარ მტკიცებულებას, რომ სინჯები პროფესიონალების მიერ იყო აღებული“, — განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ უფრო დეტალური საბუთების წარმოდგენაზე ამერიკულმა მხარემ უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ მონაცემები საიდუმლოა.

ჩინეთი აშშ-ს მოუწოდებს, გაერო-ს ექსპერტთა დასკვნის საბოლოო შედეგის გამოქვეყნებამდე თავი შეიკავოს იმის მტკიცებისგან, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება მოხდა. ამის შესახებ „გარდიანი“ იუწყება.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ვლადივოსტოკში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ობამას მოუწოდა ძალის გამოყენებამდე, სირიაში ახალ მსხვერპლზე დაფიქრდეს. მან ობამას ისიც შეახსენა რომ ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატია.

„როიტერის“ ინფორმაციით, კვირას, გვიან საღამოს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სევასტოპოლის ფლოტიდან სირიის მიმართულებით მზვერავი გემი „პრიაზოვიე“ გააგზავნეს,



კონფლიქტის ზონაში ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჰონ ლის განცხადებით, ჩინეთი სირიაში ნებისმიერი სახის სამხედრო ინტერვენციის დაწყებას ეწინააღმდეგება.

„ჩინეთი შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული ქვეყნები სირიაში ცალმხრივი სამხედრო მოქმედებების დასაწყებად ემზადებიან“, — განაცხადა ჰონ ლიმ.

გერმანია სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს, ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკერმა განაცხადა.

„გერმანია მასში მონაწილეობას არ მიიღებს. გერმანიას შეუძლია მონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნატოს, გაეროს ან ევროპული მანდატი იქნება“, — განაცხადა მერკელმა სახელმწიფო მეთაურის პოსტზე თავის კონკურენტ პეერ შტაინბრიუთან გამართული დებატების დროს.

მანამდე კი, სააგენტო „ფრანს პრესმა“ გამოაქვეყნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გიდო ვესტერველეს განცხადება, სადაც ის ამბობდა, რომ გერმანიის ხელისუფლება სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არც კი განიხილავს.

„ჩვენთვის ეს არავის უთხოვია, ამის შესაძლებლობას არც კი განვიხილავთ“, — განაცხადა ვესტერველემ.

ნატო მიიღებს გადაწყვეტილებას სირიასთან დაკავშირებით მხოლოდ მას შემდეგ რაც გაიმართება კონსულტაციები ჩვენს პარტნიორებთან, საერთაშორისო საზოგადოებასთან, ევროკავშირის და ნატოს ქვეყნების წარმომადგენლებთან. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსმენმა ამ წუთებში ბრიუსელში მიმდინარე პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გენერალური მდივნის თქმით, სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე რეაგირება უნდა მოვახდეს, რადგან ოცდამეერთე საუკუნეში ქიმიური იარაღის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია.

მისივე თქმით, მან კონსულტაციები გამართა ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან.

„მე შევხვდი ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს და ვთხოვე რომ, სირიაში მშვიდობის დამყარება აუცილებელია ევროპისათვის პირველ რიგში“, — განაცხადა რასმუსენმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ სირია თურქეთის წინააღმდეგ დაიწყებს საომარ მოქმედებებს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ნატოს ცნობილი მეხუთე მუხლი ავტომატურად ამოქმედდება.

რასმუსენმა აღნიშნა, რომ თურქეთში გაძლიერდება ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარების მზადყოფნა, რათა დაცული იყოს თურქეთის მოსახლეობა მოსალოდნელი ექსცესებისაგან ნატოს გენმდივანმა ასევე აღნიშნა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე რეაგირება უნდა მოხდეს, რადგან ოცდამეერთე საუკუნეში ქიმიური იარაღის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოებას სირიის ხელისუფლების მისამართით ზომების მიღებისაკენ მოუწოდა.

ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუციის საბოლოო ტექსტში სირიის რეჟიმის წინააღმდეგ აუცილებელი ნაბიჯების გადადგმისაკენ არის მოწოდება. ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა სხდომა კვირას კაიროში გამართეს, სადაც სირიის შესახებ იმსჯელეს. არაბული ქვეყნების ლიგამ სირიის მთავრობა დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენებაში დაადანაშაულა.

სირიის წინააღმდეგ ნებისმიერი საომარი ქმედება „ალ ქაიდასა“ და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების მხარდაჭერის ტოლფასი იქნება. ამის შესახებ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფაისალ მექდადმა განაცხადა.

როგორც მექდადმა „ბიბისისთან“ საუბრისას აღნიშნა, სირიაში ქიმიური იარაღი აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა ძალებმა გამოიყენეს და არა — სირიის შეიარაღებულმა არმიამ. მისივე განცხადებით, სირიაში ამერიკის სამხედრო ინტერვენცია უფრო გააღრმავებს ამერიკელი ხალხისადმი სიძულვილს და დესტაბილიზაციას გამოიწვევს შუა აღმოსავლეთში.

ამასთან, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ობამას გადაწყვეტილება მიემართა კონგრესისთვის და დალოდებოდა მის საბოლოო პასუხს, იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ბოლომდე არ აქვს გააზრებული, რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს სირიაში სამხედრო ინტერვენციამ.

დამასკოს მოსახლეობამ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ბარაკ ობამას საწინააღმდეგო აქცია გამართა.

მომიტინგეებმა ანტიამერიკული სლოგანებით ბარაკ ობამას მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება გააპროტესტეს და თეთრი სახლის ლიდერ აღნიშნულისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს.

საპროტესტო აქციაზე დემონსტრანტებს სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ფოტოებთან ერთად სხვადასხვა სლოგანები და ტრანსფარანტები ეჭირათ ხელში.



„ჩვენ არ გვეშინია სამხედრო თავდასხმის. ჩვენ ვგმობთ ობამას გადაწყვეტილებას. აუცილებლად ვიბრძოლებთ ბოლომდე, რადგან სირია ჩვენი სამშობლოა და მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ“,— განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ჯიმ ჰაიმსმა.

„ამერიკის ხმის“ ახლო აღმოსავლეთის ბიუროს კორესპონდენტი ელიზაბეტ აროტი ამ თემაზე მოგვითხრობს.

დამასკოს მცხოვრებლები იმ აზრს ეგუებიან, რომ ამერიკამ სირიაზე სამხედრო იერიში ნებისმიერ დროს შეიძლება მიიტანოს.

თუმცა ნალა ენსა, რომელიც დამასკოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეა, ამბობს რომ ბევრი ამ საშიშროებას მომზადებული ხვდება.

ნალა ენსა: ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ სამხედრო დარტყმები შეიძლება რამდენიმე დღე გაგრძელდეს, ამის გამო ისინი მალაზიებს მიაწყდნენ და პროდუქტს იმარაგებენ. თუმცა მას სირიელი სამხედროების, ქვეყნის ინსტიტუციონალური და



სამოქალაქო საზოგადოებების იმედი აქვს, რომლებიც მისი განცხადებით სრულად არიან მობილიზებულნი.

ყოველთვის რთულია დამასკოს ქუჩებში ხალხთან გასაუბრება. მათ უმრავლესობას კარგად ესმის, რა შეიძლება მოყვეს ასადის რეჟიმის საწინააღმდეგოდ გაკეთებულ განცხადებას. იმის მიუხედავად, რომ მაინც ფიქრობენ რომ არსებული სიტუაციის ფონზე რეპრესიები შენელდება, მაინც ძალიან ცოტა ადამიანი საუბრობს გახსნილად მიკროფონის წინ.

თუმცა ორ წელიწად-ნახევრის მანძილზე მიმდინარე რელიგიური, სექტანტური დაპირისპირების ფონზე, რომელშიც ალ ყაიდასთან დაკავშირებული ძალებიც მონაწილეობენ, მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების მიმართ ლოიალურები არიან.

შეერთებული შტატების ქმედებების მიმართ კი საწინააღმდეგოდ განწყობილნი. დამასკოს სტრატეგიული სწავლების ცენტრის დირექტორი ბასამ აბუ ამ თემაზე საუბრობს.

ბასამ აბუ: მზად ვართ საკუთარი ქვეყანა დავიცვათ. სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ჩანდა, რომ არ აქვთ ზუსტი მონაცემები ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით, ისინი ცდილობენ დანარჩენი მსოფლიო დაარწმუნონ, რომ სირიის ხელისუფლებამ ქიმიური იარაღი გამოსცადა. ეს არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს, და საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეყავთ, ისე როგორც ეს იყო 2003 წელს.

2003 წელს ამერიკამ ომი ერაყში დაიწყო. რისი საფუძველიც სადაზვერვო სამსახურის მცდარი ინფორმაცია გახდა.

პროფესორი ისა ამბობს, რომ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო.

ნალა ენსა: ამერიკა რასაც ჰუმანიტარულ ინტერვენციას უწოდებს, სირიისთვის ეს საერთოდ არ ნიშნავს ჰუმანიტარულ დახმარებას, და ეს არაეთიკურია. ამას გამართლება არ აქვს, ამან მხოლოდ შეერთებული შტატების მიზნები და ინტერესები გამოკვეთა.

ანალიტიკოსი აბუ აბდულა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიმართ გარკვეულ სიმპათიებს გამოხატავს. მისი აზრით ობამა გარკვეული ჯგუფების მხრიდან ზეგავლენის ქვეშ მოექცა, მათ შორის არის სირიის მტერი ისრაელი.

აბუ აბდულა: სიტუაცია რთულია, ვინაიდან ობამა აცხადებს, რომ ომების ერა დასრულდება. და ის ომის წინააღმდეგია, თუმცა ახლა ახალი ომისთვის ემზადება. როგორც ჩანს მის წინააღმდეგ ლობისტური ჯგუფების ზეწოლა ხდება.

თუმცა ის ფიქრობს, რომ შეერთებული შტატები მაინც შეზღუდულ ქმედებებს განახორციელებს, მაინც შიშობს, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვა, და ომის ერა ისევ დაბრუნდება.

აბუ აბდულა: ამერიკას კარგად უნდა ახსოვდეს ერაყი, ავღანეთი და ვიეტნამი. სირიის საკითხი გაცილებით რთულად დგას, რადგან ის მარტო არ არის. მას თავისი მეკავშირეები ჰყავს.

ის მეკავშირეებში სირიის მხარდამჭერ ლიბანურ „ჰესბოლას“ გულისხმობს. მხარდამჭერებს შორის ასევე არიან რუსეთი და ირანი. მისი თქმით ამერიკა ბევრი სიურპრიზის მოწმე გახდება, — აცხადებს „ამერიკის ხმა“. ამ ფონზე, სირიის ოპოზიცია აშშ-ის კონგრესს მოუწოდებს, სირიის კონფლიქტში, სამხედრო ჩარევას მხარი დაუჭიროს.

„სირიის კოალიცია მიიჩნევს, რომ შესაძლო სამხედრო მოქმედებები სირიის თავისუფალი არმიის შეიარაღების მცდელობასთან ერთად უნდა გატარდეს“,— აცხადებენ სირიის ოპოზიციაში.

მანმადე სირიის ოპოზიცია აცხადებდა, რომ აშშ-ის სირიაზე დარტყმას გამოიყენებდა და დასუსტებულ სირიულ ჯარს დარტყმებს თავადაც მიაყენებდა.

სირიაში სიტუაცია კრიტიკულ ფაზაში 21 აგვისტოს მას შემდეგ გადავიდა, რაც ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად 1300 ადამიანი დაიღუპა. ამის შემდეგ აშშ და დასავლეთის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა სირიის კონფლიქტში სამხედრო სახით ჩაერიონ. აღნიშნულ განცხადებას რუსეთი და ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

გაეროს ექსპერტებმა კი, რომლებიც ქვეყანაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს სწავლობენ, სირია შაბათს დატოვეს. გაეროს გენერალური მდივნის ბან კი მუნის განცხადებით, მათი დასკვნა ორ კვირაში გახდება ცნობილი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### ირაკლი (კახი) ახალაძის მონატრება



ჩვენო კახი, 40 დღე გავიდა, რაც ჩვენგან სამუდამოდ წახვედი ზეციურ, ღვთიურ სამყაროში. შენმა გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება დაგვიტოვა. მეტად ძნელია, შევეგუოთ ჩვენ შორის შენს არყოფნას.

ჩვენო კახი, შენ ამქვეყნიდან წახვედი, მაგრამ ახლა მანდ, ღვთიურ სამყაროში აგრძელებ სიცოცხლეს. ჩვენო კეთილო კახი, არასდროს დაგივიწყებთ, მუდამ ჩვენთან იქნები.

ღმერთმა გაანათლოს შენი ალალი, უპატიოსნესი და კეთილი სული. ამინ!

*შენზე მარად მლოცველი მამა ტარიელი, ძმა გელა, ახლობლები, მეზობლები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

### სამშაბათი 3 სექტემბერი

08.00 დ/ფ "გიიკების რევანში" 09.00 საბ. მხ/ფ "**კატები და ძაღლები**" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "**დაძაბე გონება**" 14.30 დ/ფ "რუკების სილამაზე" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 18.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 22.00 მხ/ფ "**სიყვარულის სურნელი**" (მ.რაიანი) 23.50 მხ/ფ "**რიცხვი 23**" (ჯ.კერი)

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 00.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 11.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები". 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" I ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 3 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "**ცივი გული**" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კონცერტი: "პაემანი ვერაზე– გიზო ნიშნიანიძე" 3 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50, 18.50, 19.05 სერ. "**მაგნატები**". 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 22.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) 23.00 სერ. "**შევარდნის თვალი**" 1 სერ. 00.15 მხ/ფ. "**დიდი არდადაგები**" (კ. კლეინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ "GHOST BUSTERS 2" 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" 14.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" 18.50 სერ. "**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 გაცინე და მოიგე. 23:00 სერ. "**სიცრუის თეორია**" 01.00 მხ/ფ

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 ეთნოგრაფია 06.50 მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" (კოლაჟი) 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 22.00, 00.25 ისტორიის დღიური 10.35, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ/ფ "ცასწავალა" გოდერ.ი ჩოხელი 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**მოიტაცეს თამარ ქალი**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 კონცერტი -"კონტრაპუნქტი" მიხეილ შუღლიაშვილი I ნაწ. 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი" II ნაწ. 23.40 ჩვენი ფონდი 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 9.45 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური ამბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე 2.30 მაგთიფანი (გამ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6615

ევრო — 2,1993

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5742

100 რუსული რუბლი — 4,9974

## ამინდის პროგნოზი 3 სექტემბრისთვის




## მალე! მალე! მალე!

### ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

### „შავი ვარდი“

### „ახალ თაობასთან“ ერთად

## საქართველომ მსოფლიოს ბრაზილიიდან გადმოხედა

**ბრაზილიაში, ქალაქ რიო დე ჟანეიროში გამართულ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.**

ქართველმა ძიუდოისტებმა გუნდურ შეჯიბრში ყველა მეტოქეს სძლიეს, ფინალში კი 0:2 ჩამორჩენის მიუხედავად, რუსეთის ეროვნული ნაკრები 3:2 დაამარცხეს და მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტულს დაეუფლნენ.

მთავარ მწვრთნელის ირაკლი უზნაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა ფინალის გზაზე სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე დამაჯერებლად მოიგო, მერვედფინალში ქართველებმა საფრანგეთს სძლიეს, მეოთხედფინალში – მონღოლეთს, ხოლო ნახევარფინალში – უზბეკეთს.

რუსეთთან ფინალურ შეხვედრაში ლაშა შავდათუაშვილისა და ზებედა რეხვიაშვილის მარცხის შემდეგ საქართველო 0:2 აგებდა, თუმცა ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა თავიანთ შეხვედრებში იმარჯვეს და ანგარიში გაათანაბრეს – 2:2, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ალექსანდრ მიხაილინს მოუგო და ჯამში საქართველომ რუსეთი 3:2 დაამარცხა.

ბრინჯაოს მედლები იაპონიამ და უზბეკეთმა მოიპოვეს. მამაკაცების პარალელურად, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ქალებშიც გაიმართა. ტურნირი წაუგებლად იაპონიამ ჩაამთავრა, რომელმაც ფინალში ბრაზილია 3:2 დაამარცხა. მესამე საპრიზო ადგილები კი კუბამ და საფრანგეთმა დაიკავეს.



რაც შეეხება ინდივიდუალურ ჩემპიონატს, შეგახსენებთ, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა მსოფლიო ჩემპიონატი 2 ვერცხლის მედლით დაასრულეს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (91 კგ) გახდნენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## თავისუფალი თეატრი სეზონს 15 სექტემბერს გახნის

ეკა ირემაშვილი

თავისუფალი თეატრი ახალ თეატრალურ სეზონს 15 სექტემბერს გახსნის. როგორც თეატრში აცხადებენ, სეზონი ავთო ვარსიმაშვილის გახმაურებული სპექტაკლით „მექანიკური ფორთოხლით“ გაიხსნება.



სპექტაკლის პრემიერა ორი წლის წინ შედგა და ის თეატრის დამაარსებელმა ავთო ვარსიმაშვილმა დადგა. წარმოდგენა ენტონი ბერჯერსის რომანის მიხედვით განხორციელდა. პიესის ავტორი და რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილია, მხატვარი – მირიან შველიძე, კოსტიუმების მხატვარი – ნათია ფრუიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ თავისუფალი თეატრის მსახიობები აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სლავა ნათენაძე, მიშა არჯევანიძე, ანი ადაძუშვილი და მაშო მელქაძე. სპექტაკლი თბილისის მერიის მხარდაჭერით დაიდგა და მას მაყურებელი დღემდე დიდი ინტერესით ესწრება.

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული დასვენების პერიოდია, თავისუფალი თეატრი სხვადასხვა პროექტებზე მუშაობდა. ავთო ვარსიმაშვილი თეატრში მუშაობის პარალელურად, თავის ახალ ფილმზეც მუშაობს, რომლის პრემიერაც ტრადიციულად შემოდგომაზეა დაგეგმილი. როგორც ავთო ვარსიმაშვილი ამბობს, ეს იქნება ყველაზე დიდი იდიოტოკრატია და მასში თავისუფალი თეატრის მსახიობებთან ერთად პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი და მომღერალი ნინო ქათამაძეც მიიღებენ მონაწილეობას.

თავისუფალი თეატრის სექტემბრის თეატრალური აფიშა უკვე ცნობილია: 15 სექტემბერი – „მექანიკური ფორთოხალი“, 17 სექტემბერი – „ჯინსების თაობა“, 18 სექტემბერი – „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“, 19 სექტემბერი – „თოჯინების სახლი“, 20 სექტემბერი – „სათამაშო პისტოლეტი“, 21 სექტემბერი – „ჩემი საუკეთესო მეგობარი“, 22 სექტემბერი – „მექანიკური ფორთოხალი“, 24 სექტემბერი – „ჯინსების თაობა“, 25 სექტემბერი – „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“, 26 სექტემბერი – „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“.

27 და 28 სექტემბერს თავისუფალ თეატრში პრემიერაა. თეატრის მოყვარული საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იქნება ახალი სპექტაკლი „ძვირფასი პამელა“, რომელზეც უფრო დეტალურ ცნობებს თავისუფალი თეატრი ჯერჯერობით არ ახმაურებს.

29 სექტემბერს კი თავისუფალი თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს „ვალსი ძილის წინ“.

## „ოქროს ნიჟარა“ ქართველმა კონკურსანტმა მოიგო




**ბათუმში გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე „ოქროს ნიჟარა 2013“ გამარჯვება საქართველოს წარმომადგენელმა მომღერალმა შაბან მამედოვმა მოიპოვა. 12 წლის უსინათლო მომღერალი მარნეულიდანაა და სიმღერა მისი ცხოვრების მთავარი აზრია.**

სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „ოქროს ნიჟარა 2013“ ბათუმში ოთხი დღის განმავლობაში ტარდებოდა. საკონკურსო ტურებს ბათუმის ხელოვნების ცენრმა უმასპინძლა. კონკურსის ორგანიზატორი საპროდუსერო კომპანია „სტარ მედია პროდაქშენი“ იყო, რომელმაც კონკურსანტები შესარჩევი ტურების პრინციპით ჯერ კიდევ ივლისის თვეში შეარჩია. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ 10-14 წლამდე ბავშვებს, რომლებსაც ვოკალური და ქორეგრაფიული მონაცემები ჰქონდათ. შესარჩევი ტურები საპროდიუსერო კომპანიამ არა მარტო „ოქროს ნიჟარასთვის“ ჩაატარა, არამედ „ბოის ბენდისთვისაც“, რომელსაც „სთარ მედია ფროდაქშენი“ კონცერტებს ჩაუტარებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც.

წელს კონკურსში „ოქროს ნიჟარა 2013“ მონაწილე კონკურსანტებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ჟიური აფასებდა. საქართველოს, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და ბელორუსიის – მთლიანობაში 5 ქვეყნის 11 კონკურსანტი ხუთკაციანმა ჟიურიმ შეაფასა. წელს ჟიურის საპროდიუსერო კომპანია „სტარ მედია პროდაქშენის“ გენერალური დირექტორი ვიაჩისლავ დმიტრიენკო თავმჯდომარეობდა. ჟიურის შემადგენლობაში ასევე იყვნენ ქართველი მომღერალი ანრი ჯოხაძე, ყაზახი პროდიუსერი დინა სმაილოვა, ჰოლივუდის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი ლატვიაში ლენა ლორენა სვილვე და ბელორუსი პროდიუსერი ოლგა ზინოვა.

კონკურსის პირველ დღეს მონაწილეებმა მშობლიური სიმღერები და მსოფლიო ჰიტები შეასრულეს. ფინალური კონცერტისთვის კი სავალდებულო იყო მათ მიერ ან სპეციალურად მათთვის დაწერილი სიმღერების წარმოდგენა.

კონკურსის დასრულებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კონკურსანტებს შორის საქართველოს წარმომადგენელი გიორგი შიოლაშვილი ლიდერობდა, რომელიც „ანა ბანას“ პროექტიდან გაიცნო საზოგადოებამ. თუმცა ბოლო საკონკურსო ტურზე ჟიურის უმაღლესი შეფასება და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება მომღერალმა შაბან მამედოვმა დაიმსახურა. მის მიერ საკმაოდ ემოციურად შესრულებულ სიმღერას გულგრილი არც ჟიური და არც დარბაზში მყოფი მსმენელი დაუტოვებია. 12 წლის უსინათლო მომღერალი მარნეულიდანაა. მისი თქმით, ფინალურ კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე არც კი ფიქრობდა, რომ გრანპრის მფლობელი გახდებოდა და კონკურსში მონაწილე დანარჩენ მომღერლებს აჯობებდა. შაბან მამედოვი ბათუმში კონკურსზე მამასთან ერთად ჩავიდა. როგორც გამარჯვებულის მამამ აღნიშნა, მისი შვილი 9 თვის ასაკში ექიმების დაუდევრობის გამო დაბრმავდა. კონკურსის გამარჯვებული უკრავს სინთეზატორზე, მღერის და სხვადასხვა კონკურსში იღებს მონაწილეობას.

„ოქროს ნიჟარის“ პირველი ადგილი უკრაინის წარმომადგენელმა მომღერალმა ალექსანდრე ჩიშმა დაიკვა, მეორე ადგილზე საქართველოს წარმომადგენელი გიორგი შიოლაშვილი გავიდა, მესამე ადგილი კი რუსეთის წარმომადგენელმა კრისტიან კოსტოვმა დაიმსახურა. კონკურსის გამარჯვებულებისთვის ფესტივალის ორგანიზატორებმა დააწესეს სხვადასხვა სახის პრიზები. საპრიზო ადგილებზე გასულებისთვის კი დამზადდა პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნიჟარები, ასე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მეცნიერება ხეხილი ჯიშების შესახებ; 2. გემის ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო; 3. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. სისხლის ნებაყოფლობით გამღები პირი; 14. აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 22. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 9. საფრანგეთის პრეზიდენტი; 10. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. თემის, გვარის მეთაური სვანეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## ასტროპროგნოზი 3 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

### შემოქმედებითი დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — ნუ აყვებით სხვებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ლომი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **მორიელი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ, ყველაფერი გამოგივათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი